# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 მაისი 2001 №86 (1359) ფასი 50 თეთრი


# გმადლობთ, დედოფალო!



# ნონა გაფრინდაშვილი: ჭადრაკის თამაში არ მომბეზრებია, ესე იგი, ცხოვრება გრძელდება!

***ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი 60 წლისა შესრულდა. ასაკი ვითომ საკმაოა, ადამიანმა დასვენებაზე იფიქროს, მაგრამ მრავალ თარიღს ფაქტობრივად არაფერი შეუცვლია: ქალბატონმა ნონამ ჭადრაკის სასახლეში მიგვიღო, სადაც ჩვენთან საუბრის გარდა ათასი საქმე ჰქონდა, რეკავდა, ურეკავდნენ და ამიტომ ინტერვიუ დაგეგმილზე ცოტათი მეტხანს გაგრძელდა.***

***იუბილარმა სიურპრიზით დაიწყო, სულ ახლახან გამოცემული თავისი წიგნი გვიძღვნა, სახელად „რჩეული პარტიები“, რომელშიც 206 პარტიაა აღწერილი. ზოგი ქალებთან, ზოგი ვაჟებთან ნათამაშევი.***



— ვეცადე, სუსტ მეტოქეებთან მოპოვებული გამარჯვებები წიგნში ნაკლებად შემეტანა — გვითხრა ნონა გაფრინდაშვილმა — იმასაც მნიშვნელობა აქვს, ვის უგებ. 206 პარტიიდან მხოლოდ ერთია საყაიმო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. იგი იუგოსლაველ ველიმიროვიჩთან ვითამაშე და ისეთი დაძაბული იყო, ბოლოს დაფაზე ლამის მარტო მეფეები დარჩა. პარტია 1984 წლის საუკეთესოდ აღიარეს და ამიტომაა ჩემთვის ძვირფასი, თუმცა საკმაოდ მძიმე და ძნელი იყო, როგორც საერთოდ ვაჟებთან თამაში.

**— ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო ურთიერთობები ის სფეროა, სადაც თქვენ სიტყვა გეთქმით...**

— ვაჟებთან ჯერ რეგლამენტი იყო უმძიმესი, ხუთსაათიანი პარტია. თუ გადაიდებოდა, იმავე ღამეს ორი საათი თამაში, მერე საჭიროებისამებრ დილითაც ორი საათი და იმავე დღეს ახალი პარტიაც უნდა მოგესწრო. კაცები ერთმანეთში ხშირად აკეთებდნენ ორ-სამ იოლ ყაიმს, ჩემთან კი პრესტიჟის გულისთვის თავს თვით აუტსაიდერებიც არ ზოგავდნენ. დასვენების დღეები არ გვქონდა და ამ მიზეზების გამო ხშირად მოგებული პარტიები გამიფუჭებია 38-ე, 39-ე სვლებზე. დღეს სიტუაცია შეიცვალა. მამაკაცისთვის აღარა აქვს მნიშვნელობა, მეტოქე ვინ ჰყავს: თუ საყაიმო პოზიციაა, უყოყმანოდ ყაიმს შემოგთავაზებს. ადრე ამ მხრივ ბევრად რთულ დღეში ვიყავით.

**— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქალთა და ვაჟთა ჭადრაკი კლასით დაბალოვდა?**

— ასე მაინც ვერ ვიტყვი, რადგან ჭადრაკში უდიდესი ენერგია იხარჯება და ამაში მამაკაცებს დიდი უპირატესობა აქვთ. ახლახან გამოკვლევის შედეგებს გავეცანი, თურმე სპორტის სახეობებიდან ჭადრაკი ცურვისა და თხილამურობის შემდეგ ყველაზე მეტ ენერგიას ითხოვს. მოჭადრაკე პარტიაში იხარჯება ისევე, როგორც მჭედელი მთელი სამუშაო დღის მანძილზე. მეორე ფაქტორი ემოციურობაა, რაშიც ქალები ასევე „ვჯობნით“ მამაკაცებს. მერე ათასი საოჯახო საზრუნავი, რაც მოჭადრაკე მამაკაცთა უმრავლესობას საერთოდ არ აწუხებს და ასე შემდეგ. გასათვალისწინებელია სუფთა ბიოლოგიური მომენტიც: ბიჭი მებრძოლად იბადება, ის თითქმის თავიდანვე მოძრაობს, თამაშობს, ჩხუბობს, ხოლო გოგონებს სხვა მიდრეკილებები აქვთ. მართალია, ბავშვობაში მე ბიჭებთან მითამაშია და მიჩხუბია, მაგრამ ეს სხვა თემაა...

**— ამ თემას ცალკე დავუბრუნდებით...**

— ჭადრაკიც თამაშია, ბრძოლაა და ის, რაც მამაკაცს შინაგანად აქვს, ქალმა თავისით უნდა გამოიმუშაოს და ეს დამატებითი ტვირთია. არ შემიძლია, კიდევ ერთხელ ემოციებს არ დავუბრუნდე, რაც უამრავჯერ გამხდარა ქალთა საკვირველი წაგებების მიზეზი. ნანა ალექსანდრიამ მაია ჩიბურდანიძესთან მატჩში ისეთი პარტიები წააგო, არ ვიცოდი, რა მეფიქრა. ამგვარი ნეგატიური მომენტები წრიული ტურნირებისას ნაკლებადაა, უფრო შესარჩევი სისტემის შეჯიბრებებში იჩენს თავს. იუდით პოლგარი საუცხოოა ტურნირებში, მაგრამ საკმარისია, გავარდნა-დარჩენაზე მიდგეს საქმე, რომ ისე ვეღარ თამაშობს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, კაცებს ჭადრაკში დიდი ფორა აქვთ. ვაჟთა ტურნირებში გზა ჩემით გავიკვალე და როცა ზემოთ ნათქვამი ყველაფერი გავიაზრე, განვაცხადე კიდეც. პირველად, თუ არ ვცდები, ეს იყო ჟურნალ „64“-ის იუბილეზე, სადაც მე და მაია ჩიბურდანიძე ჩავედით. მაშინ მაიამ არ დამიჯერა და როცა მოგვიანებით თვითონ დაიწყო მსგავსი საუბარი, ის დრო შევახსენე. არ გატყდა არაფრით, ცდებით, მაშინ დაგეთანხმეთო.

**— თუ ასეა საქმე, რამდენად მიზანშეწონილია მანდილოსნების თამაში ვაჟთა ტურნირებში?**

— არა, არა, ვიმეორებ, ეს ტურნირებს არ ეხება. იქ პირიქით, თავისუფლად ვთამაშობთ. გამოვა, ხომ კარგი, არადა, ამითაც ქვეყანა არ იქცევა. მე შესარჩევი ტურნირები ვიგულისხმე და კიდევ გუნდური შეჯიბრებები, სადაც თამაში დამატებით დიდ ენერგიას ითხოვს. მაგალითს გეტყვით: ერთ-ერთ ოლიმპიადაზე ქეთევან არახამიამ 13-დან 13 ქულა აიღო. სამ პარტიაში გაუჭირდა, მაგრამ ისინიც მოიგო. მერე საერთაშორისო ტურნირზე წავედით და მე ვთქვი, ესაა არახამიას საუკეთესო ტურნირი, სადაც ერთად გვითამაშია-მეთქი. ვაჟთა ღია ტურნირი იყო, ბევრი დიდოსტატი მონაწილეობდა, მაგრამ ქეთინო სულ ლიდერებში იყო და ბოლოს ერთი მოგებული პარტია რომ არ წაეგო, თვითონაც დიდოსტატი გახდებოდა. ვკითხე, სად უფრო გაგიადვილდა-მეთქი. ცხადია, აქო. ხედავთ რას ნიშნავს დაძაბულობა?! მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული პარტიაც რომ გადადო, მშვიდად არა ხარ, წრიალებ, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვან. მაგარი ნერვები უნდა.

**— ქალბატონო ნონა, როცა პატარა იყავით, ბიჭებთან ბურთს დასდევდით და თქვენმა ძმამ ჭადრაკი გასწავლათ. თუ იყო თქვენში ის ჯანსაღი ამბიცია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ან თუნდაც ძლიერი მოჭადრაკე გამხდარიყავით?**

— არანაირი. უბრალოდ, ვთამაშობდი იმას, რასაც ჩემი ძმები: პატარა ბილიარდი გვქონდა, ფრენბურთის ბადე გავაბით და ასე შემდეგ. ჩვენი ეზო დიდი არ იყო, მაგრამ მინი-„ლუჟნიკებივით“ მოვაწყვეთ, მთელი ქუჩა ჩვენთან მოდიოდა. უფროსი ძმა რომ სამეცადინოდ მიხმობდა, არ მივდიოდი, თამაში მერჩივნა, რადგან ბუნებით მოთამაშე ვარ. ხოლო მოჭადრაკე რომ გავხდი, ამაში, ალბათ, შემთხვევითობამაც ითამაშა როლი. ჩემი ძმები თითქმის ყველანი თამაშობდნენ და ერთ-ერთი ზუგდიდის ნაკრებში საქართველოს პირველობაზე უნდა გამოსულიყო. ერთი მოთამაშეც გოგო სჭირდებოდათ და არ ჰყავდათ. გუნდში ჩამრთეს, ბათუმში ვითამაშე და საკმაოდ კარგადაც. მერე ყურადღება მომაქციეს, თბილისში წავედი და ვახტანგ ქარსელაძესთან დავიწყე მეცადინეობა. ასე უბრალოდ დაიწყო ყველაფერი.

**— და მერე უთვალავი პარტია ითამაშეთ. რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— პირველი ის არის, ლაზარევიჩს რომ მოვუგე. ორი ულამაზესი პარტიაც სულ მაგონდება: ერთი რუს ტიხომიროვასთან, მეორე — ოსტატ ალექსანდრე ბლაგიძესთან. ტიხომიროვას ორ მსუბუქ ფიგურაში ლაზიერი შევწირე და ისე დავამარცხე. მაგრამ ლაზარევიჩთან მაინც სხვა იყო: ერთ მომენტში შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მან პაიკი მომიგო და მიტევს. ამ მომენტში მეფით სამი სვლა გავაკეთე, რომელთა დროსაც პრესცენტრში დიდოსტატი ბონდარევსკი და სხვები სვლიდან სვლამდე „ხარისხს“ მიმატებდნენ, ჯერ ოსტატობის კანდიდატად ჩამთვალეს, მერე ოსტატად, მერე დიდოსტატად. ძალიან პრინციპული პარტია იყო, რომელმაც ფაქტობრივად პრეტენდენტად მაქცია. მერე ეს პარტია კარგა ხანს ისე პოპულარული იყო, „ცოცხალ“ ჭადრაკში ხშირად ათამაშებდნენ.

**— ვინ არის თქვენი საჭადრაკო კერპი და რატომ?**

— ჩემს კერპად ტალს ვაღიარებ და არა მარტო იმიტომ, რომ ჩემი თაობისა იყო. ტალმა ჭადრაკს სიცოცხლე დაუბრუნა, სპორტული საწყისი უმთავრესად აქცია. საბჭოთა კავშირის პირველობა თბილისში ტარდებოდა, მე მას ვესწრებოდი და ტალის პარტიები ახლაც თვალწინ მიდგას. პიროვნებაც დიდებული იყო. მისი „არა“ არ გამიგია. აი, თქვენ რომ მისულიყავით, უცხო ადამიანი და რაღაც გეთხოვათ, შეგისრულებდათ. მის მოსმენას ხომ არაფერი სჯობდა და ისევ ჭადრაკზე თუ ვიტყვით, ერთდერთია, ვისაც ფიშერმა გენიოსი უწოდა. ისე კი, იმდენი დიდი ადამიანი ყოფილა ჭადრაკში, რომ მითხრათ, ყველა დროის საუკეთესო ათეული დამისახელეთო, გამიჭირდება.

**— ჭადრაკის სპორტული საწყისი ახსენეთ. რამდენად შენარჩუნებულია იგი დღეს?**

— იცით, შეფარდებითია ყველაფერი, მაგრამ მგონია, რომ დღეს მოჭადრაკეს სულ კალკულატორი უჭირავს და რეიტინგებს ითვლის. პირადად მე ამ გზით არასდროს მივლია. განაღდებულიც რომ მქონოდა ტურნირზე პირველი ადგილი, მაინც მოსაგებად ვთამაშობდი და მეგობრები მაფრთხილებდნენ, ხალხს ამას ნუ მიაჩვევ, თორემ სულ მოგებას მოგთხოვენო. მართლაც, კუშნირთან ბოლო მატჩი პატარა სხვაობით მოვიგე 8,5:7,5 და პირველი კითხვა, რაც დაბრუნებისას მილოცვის შემდეგ დამახვედრეს, ეს იყო: რატომ ასე მცირე უპირატესობით? რა თქმა უნდა, დღესაც არიან მოჭადრაკეები, რომელთათვის გამარჯვება უმნიშვნელოვანესია, ამიტომ მთლად ვერ ვიტყვი, რომ ჭადრაკმა სპორტული საწყისი დაკარგა, მაგრამ ეს თამაში ანგარიშიანი რომ გახდა, აშკარაა. საპრიზო ფონდის მოცულობაც გაიზარდა, ამიტომ, როცა მოჭადრაკე ხედავს, რომ ერთი გაფუჭებული პარტია დიდ ღია ტურნირში ათიოდე ადგილი ან რეიტინგის ქულა შეიძლება დაუჯდეს, აღარ რისკავს. ახლაც, ვარშავაში, ევროპის ჩემპიონატზე ამის უამრავი მაგალითი იყო.

**— ევროპის ჩემპიონატზე თამაში კარგად დაიწყეთ...**

— ახალი რეგლამენტით ვთამაშობდით და ძალიან გაგვიჭირდა. იმის დრო არ იყო, ყავა დამელია (თამაშის დროს ბევრ ყავას ვსვამ). პირველ 6 პარტიაში მეტოქეებისთვის შანსი არ მიმიცია, სანამ პოზიციას სრულიად უიმედოს არ გავუხდიდი, მაგრამ მერე რაღაც მემართებოდა, ალბათ, ვიღლებოდი და ყურადღება მეფანტებოდა.

**— ხომ მოიგეთ კიდეც ზოგი პარტია?**

— მოგებული არაფერი, ორი ისეთი პარტია წავაგე, არ ვიცი... ტერელაძემ რომ მომიგო, ამით ჩემპიონატი ჩემთვის დამთავრდა. მაქსიმალური შედეგის ნაცვლად ქულათა 50 პროცენტი შემრჩა და მერე ყველა პარტია უნდა მომეგო, რაც უძნელესი იყო, პირველ ყოვლისა ფსიქოლოგიურად. მე და ბევრი ჩემნაირი განვიცდით მხოლოდ მოგებული პარტიების წაგებას. როცა მეტოქე ნორმალურად გიგებს, ვთქვათ, დებიუტიდან უკეთესი პოზიციით გამოვა, მიტელშპილში მოგერევა და ასე შემდეგ, არ უნდა ინერვიულო, ეს სპორტია. ჩვენ ვნერვიულობთ მხოლოდ მაშინ, როცა მეტოქეს მთელი პარტიის მანძილზე შანსი არა აქვს, მხოლოდ ერთი სვლაა გასაკეთებელი და იგებ, უცებ კი... ვერაფრით ვივიწყებ იმ პარტიებს. მერე უკვე ახალგაზრდებზე გადავიტანე მთელი ყურადღება და რაზე დამწყდა გული: არახამიამ მესამე ადგილი დაიკავა, როცა ჩემპიონობა შეეძლო, მაგრამ ტაი-ბრეიკებზე პირდაპირ გეტყვით — რაღაც საშინელება იყო. 11 საათიდან 7-ის ნახევრამდე მოჭადრაკეები ისე ათამაშეს, წახემსების დრო არ ჰქონიათ. ჩემპიონი სწორედ ის გახდა, ვინც მეტი დასვენების უფლება მიიღო.

ისიც დასანანია, რომ ნანა ძაგნიძე და ანა მათნაძე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდნენ. არადა, ძაგნიძეს ძალიან მებრძოლი ხასიათი აქვს, თუ ჭადრაკში მოუმატა, შორს წავა. ვარშავაში, უბრალოდ, დაძაბულობას ვერ გაუძლო, მართლა აუტანელი რეგლამენტი იყო (თუმც პირადად ჩემთვის ამას პრობლემა არ შეუქმნია). მერეველაპარაკე ზვანეპოლს, გრონინგენის ტურნირის ორგანიზატორს. მითხრა, ხელმოწერებს ვაგროვებთ, რომ ფიდეს რეგლამენტის აღდგენა ვთხოვოთო. ეტყობა, ასე მკვეთრად ახალ წესებზე გადასვლა ნაჩქარევი იყო, თუმცა ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. უბრალოდ, ტაი-ბრეიკებია ცოტა დასალაგებელი.

**— ახალ სისტემას ემხრობით?**

— იდეალური სისტემა საერთოდ არ არსებობს, ახალი კი იმიტომ მომწონს, რომ დროს მიჰყვება.

**— მსოფლიოს ჩემპიონები მისი წინააღმდეგნი არიან. ამას წინათ კარპოვმა, კასპაროვმა და კრამნიკმა ფიდეს ერთობლივი ღია წერილი გაუგზავნეს. თქვენი კომენტარი...**

— არ ვამართლებ მათ საქციელს. აკეთებენ იმას, რაც მოეპრიანებათ. განსაკუთრებით კარპოვი მაკვირვებს. თავის დროზე მან ფიდესგან უამრავი პრივილეგია მიიღო, რაღაც გაუგებრად კი იქცევა. კასპაროვი სხვა ტიპია, უფრო დიქტატორული მიდრეკილებები აქვს, კრამნიკზე კი ვიტყვი, რომ დიდ პატივს ვცემდი და ასეა ახლაც. ამიტომ ვერ გამიგია, იმათ კომპანიაში როგორ მოხვდა. შეიძლება კასპაროვს რომ მოუგო, თავში აუვარდა.

**— ანუ თქვენთვის მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდია?**

— რა თქმა უნდა.

**— მიუხედავად იმისა, რომ დაუმარცხებელ ჩემპიონს მან კი არა, კრამნიკმა მოუგო...**

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. არის ორგანიზაცია, არის დადგენილი წესი და რიგი, რომელსაც უნდა მიჰყვე.

**— ქალბატონო ნონა, სად და როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 21-ე საუკუნის ჭადრაკში?**

— ჯერ კიდევ შემწევს ძალა, რაღაც დონეზე ვითამაშო და სანამ ასეა, ალბათ, ჭადრაკიდან არ წავალ. შარშან გრონინგენში სერიოზული ღია ტურნირი გაციებულმა ჩავამთავრე, ყელი მტკიოდა, მაგრამ სამეულში მოსახვედრად ვიბრძოდი. ქალებში პირველი პრიზი ავიღე, მთლიანად კი 200 მოჭადრაკეში მე-15 ადგილი დავიკავე. მგონი, არა უშავს, ხოლო უფრო მაღალ მიზნებზე არ ვფიქრობ. პრინციპში, არც დამრჩენია ისეთი მიზანი, რომ არ მიმეღწიოს. ახლა ერთადერთი რამ მაკლია — ვაჟ ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონი მინდა გავხდე და ალბათ ამისთვის ვითამაშებ...

**— გინდათ, კორჩნოის აჯობოთ?**

— რატომაც არა. სხვა თუ არაფერი, კორჩნოი ჩემზე ბევრად უფროსია.

მეტი რა გითხრათ, ჩემი ადგილი 21-ე საუკუნის ჭადრაკშიც იქნება. ტურნირებზე მიმიწვევენ, ხან სათამაშოდ, ხან საპელაციო კომისიებში, მოწაფე მყავს, ანა მათნაძე, მთლიანად ქართულ ჭადრაკზეც უნდა ვიზრუნო. წლეულს ფედერაციამ ვარშავაში მხოლოდ სამი მოჭადრაკის გამგზავრება უზრუნველყო, ახლა კი ჭადრაკის დახმარების სახელმწიფო პროგრამა მზადდება და მოკლედ, სამუშაო ძალიან ბევრია. მთავარი კი ის არის, რომ ამ ასაკშიც ჭადრაკის თამაში არ მომბეზრებია, იგი ძველებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს. რადგან ასეა, ცხოვრება გრძელდება.

**დავით გულუა**



ავთანდილ [illegible] ფოტოები



ნონა გაფრინდაშვილი შვილთან — დავით ჰიჰინაძესთან, რძალ ნათიასთან და შვილიშვილ ლერისთან ერთად

# ნონას უმთავრეს წარმატებათა ქრონიკა

1959 მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება;

1960 II ადგილი თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1961 I ადგილი თბილის-ბათუმის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
მიენიჭა სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება;

1962 გახდა მსოფლიოს ჩემპიონი,
I ადგილი თბილის-სოხუმის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ვაჟთა შორის;

1963 პირველად მოიპოვა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობა,
I ადგილი ბევერვეიკის (ჰოლანდია) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
დაჯილდოვდა მედლით „შრომითი წარჩინებისთვის",
დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი;

1964 I-II ადგილები ჰასტინგსის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი,
I ადგილი სოხუმის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით,
მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება;

1965 მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი,
აირჩიეს ბათუმის საპატიო მოქალაქედ;

1966 მეორედ მოიპოვა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობა,
I-II ადგილი ბელგრადის (იუგოსლავია) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
III-IV ადგილები ზვოლეს (ჰოლანდია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
დაჯილდოვდა ლენინის ორდენით;

1967 II ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი კიევის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი ჰევერინგის (ინგლისი) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი პრეიტონის (ინგლისი) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1968 III ადგილი გეტჰბორგის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
აირჩიეს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად;

1969 მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი,
მესამედ მოიპოვა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობა,
I ადგილი ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში,
დაჯილდოვდა საპატიო ნიშნით „სპორტული დიდება";

1970 II ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1971 I ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
აირჩიეს ახალქალაქის საპატიო მოქალაქედ,
აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის დეპუტატად;

1972 მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი,
მეოთხედ მოიპოვა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობა,
I ადგილი ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხე გათამაშებაში;

1973 მეორედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი,
I ადგილი საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1974 მეხუთედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი,
III-IV ადგილები დორტმუნდის (გფრ) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1975 მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი,
I ადგილი ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი ტიმიშოარას (რუმინეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
მიენიჭა სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება,
აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის დეპუტატად;

1976 I ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
II-IV ადგილები სანდომირის (ჰოლანდია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება,
აირჩიეს ბორჯომის საპატიო მოქალაქედ,
დაჯილდოვდა საქართველოს კომკავშირის პრემიით;

1977 I-IV ადგილები აშშ-ის ვაჟთა ღია ჩემპიონატში;

1978 მეექვსედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი,
II-III ადგილები დორტმუნდის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
მიენიჭა ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება;

1979 II-III ადგილები პიოტრუკ-ტრიბუნალსკის (პოლონეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1980 მეშვიდედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი,
აირჩიეს ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარედ;

1981 I-II ადგილები სსრ კავშირის ჩემპიონატში,
I ადგილი იაიცეს (იუგოსლავია) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის" ორდენით,
დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით,
მიენიჭა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება;

1982 მერვედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი,
I ადგილი რეჯო-ემილიას (იტალია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
I-II ადგილები იაიცეს ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
დაჯილდოვდა პირველი „ჭადრაკის ოსკარით";

1983 მეოთხედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი,
I ადგილი პლაია დე აროს (ესპანეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1984 მეცხრედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი,
I ადგილი თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
II-III ადგილები იაიცეს ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
II-III ადგილები სოჭის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
დაჯილდოვდა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მედლით;

1985 მეხუთედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი,
II-III ადგილები ლუანდას ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი იერის (საფრანგეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,

1986 მეათედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი,
I ადგილი იერის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1987 I-III ადგილები ვეიკ-ან-ზეეს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
აირჩიეს სსრ კავშირის ჭარდაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად,
I ადგილი ბრიუსელის (ბელგია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე,
I ადგილი იერის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე,
აირჩიეს ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ;

1988 I-II ადგილები ჰავრის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1989 აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტად;

1990 II ადგილი ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე,
I ადგილი ვუპერტალის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1991 I ადგილი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე;

1992 მეთერთმეტედ გახდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი;

1994 დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით";

1996 I ადგილი ვეტერან ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე,
დაჯილდოვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენით,
დაჯილდოვდა მსოფლიოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ორდენით,
დაჯილდოვდა ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საპატიო ორდენით,
აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად;

1997 დაჯილდოვდა ლიტვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლით;

1999 საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად გახდა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი,
დაჯილდოვდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლით;

2000 აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ,
აირჩიეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

გიო ახვლედიანის სვეტი

# დედოფალი

საერთოდ, დედოფლად ყოფნა ძნელია. გარშემო იმდენი რამ იცვლება, დრო ისე გარბის, რომ ხშირად ადამიანი ვერც კი ასწრებს ყველაფრის შეთვისებას, გააზრებას, ამოცნობას.

დედოფლებისთვის ეს განსაკუთრებით ძნელია, რადგან მათ ასჯერ მეტის გააზრება უხდებათ.

დღეს ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოა ოპერის თეატრში. ნონა გაფრინდაშვილი ქართული სპორტის დედოფალია. ის დედოფლად რჩება დღესაც, თუმცა, კარგა ხანია, აღარ უბრძოლია უმაღლესი სპორტული ტიტულისთვის. და საერთოდ, ჭადრაკი მხოლოდ სპორტი არ არის. ჭადრაკი ცხოვრების და აზროვნების წესია, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული დედამიწაზე.

ჭადრაკი ხომ ერთდროულად პოეზიაცაა და მათემატიკაც, ომიც და ფერწერაც, გამოცანაც და ანეკდოტიც. და ჩვენ ყოველივე ამის დედოფალი გვყავს.

სიმართლე ვთქვა და, ჭადრაკთან შორიახლოს მდგომი კაცი ვარ. ჩემი ცოდნა ამ დიდ საქმეში რამდენიმე გენიალური პარტიის გარჩევა-გათამაშებით შემოიფარგლება. ჭადრაკის სიდიადეც სწორედ ამ პარტიებმა ამომაცნობინა, ვთქვათ, მორფისა და კონსულტანტების პარტიამ, გრანდ ოპერას ლოჟაში, როცა სცენაზე „ფიგაროს" მღეროდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მთავარი ჭადრაკი კი არა, ჭადრაკის მოთამაშე ადამიანის ფიქრი, მისი გონებაა.

ნონა გაფრინდაშვილის გონება ჩვენს წინაშეა. ის ისეთივე დიდი მთხრობელია, როგორიც მოჭადრაკე. მისი ანალიტიკური გონება, მის მიერ აღქმული ცხოვრება, მისი საოცარი, ჩვენს დროში ასე იშვიათი და ჯანსაღი აზარტი და სისადავე ისეთივე განუმეორებელია, როგორც მისი კარიერა.

სპორტი ერთი ხილული და ყველაზე პოპულარული მხარეა ამ რთული გონებისა.

ჭადრაკის დედოფლობაც ერთი მხარეა. ნონა გაფრინდაშვილი ნამდვილი დედოფალი იქნებოდა ყველაფერში, სხვა დროს და სხვა ვითარებაში, სხვა გატაცებების, სხვა ინტერესების არსებობის შემთხვევაში. მისი დაუჯერებლად ტევადი, მოქნილი გონება არათუ სპორტს, არამედ ბევრად მძიმე ჭაპანსაც გასწევდა. შინაგანი ძალა საჭადრაკო დედოფალისა ნამდვილად გვიბიძგებს ამისკენ.

ნონა გაფრინდაშვილი უცნაური და მოულოდნელი ფიგურაა ჩვენს ისტორიაში, რომელშიაც ქალებს მხოლოდ დედოფლობით აღიარებენ. ანუ ქალი მაშინ იპყრობს ჩვენს ყოფას, როცა ის დედოფალია. მისი ძალა, უნარი და ნიჭიც ამ დროს ფასდება. ეს ყველაფერი კვლავ ჭადრაკის დაფისკენ მიგვითითებს, სადაც ლაზიერი-დედოფალი წარმოუდგენელ უნარს ახხივებს — მცველიცაა, შემტევიც, ბატონ-პატრონიც, სარდალიცა და რიგითი მებრძოლიც.

ჩვენ დედოფალი გვყავს.



# საშვილიშვილოდ

ეს შვილიშვილებისთვის მოსათხრობი ამბავია. იმათთვის, ვისაც ასევე გადავცემთ ფეხბურთის სიყვარულს, უბრალო ლურჯ-თეთრი სამოსის ისტორიას. ამ ისტორიას ყველაფერი ზედმეტი მოშორდება და დარჩება ის, რაც უნდა დარჩეს, ოთხშაბათ ღამის და ამ ღამემდე მისვლის ამბავი.

ო, ეს დიდებული და მღელვარე რამაა და თხრობისას არაფერი გამოგრჩება — არაფერი, გარდა ზედმეტისა, ზედმეტი და უსიამოვნო კი ბევრია და ეგებ ეს ერთადერთი ამბავიც იყოს წარსულიდან, ამ უსიამო ზედმეტობების გარეშე რომ მოუთხრობ სხვას.

ეს სიხარულისა და იმედის ამბავია. გაუხუნარი სიხარულისა და მაინც დაკარგული იმედისა, რომელიც იმას გულისხმობს, რომ დღეს, ერთს რომელსამე ჩამონათვალში ყოფილიყო ასე: მადრიდის „რეალი“, „მილანი“, „ლივერპული“... „ბაიერნი“, „აიაქსი“... ესენი... და თბილისის „დინამო“.

სიხარული არ ხუნდება, სიამაყე არ იკარგება, როცა მას ნაღდი ამბავი უმაგრებს ზურგს. სიხარულისა და სიამაყის ერთადერთი მტერი დროა. დრო ხრავს იმედს და სიხარულსაც სევდა შეეპარება ხოლმე.

და ახლა ძნელი საგრძნობია, როცა შვილიშვილს მოუთხრობ ამბავს, როცა გამოაძრობ თაროდან დამტვერილ კასეტას და ეკრანზე ძველისძველი ამბავი, შენთვის ყველაზე სასიხარულო წარმოდგენა გათამაშდება, რა უფრო გაივლის შენს გულში, სიხარული თუ სევდა.

დრო მეზობლებად აქცევს ამ ორ განცდას.

დრომ უკვე გააკეთა ის, რასაც ვერავინ გააკეთებდა და მაინც, მაინც, მაინც სიხარული არ ხუნდება, რადგან ამბავი კვლავაც ჯადოსნურია და შვილიშვილებთან ჩამოჯდომის საღამოც შორსაა. მაგრამ მოვა ის საღამო, აუცილებლად მოვა და მაშინ აუცილებლად გამოჩნდება ნაღველი და სევდა დიდი სახალხო გამარჯვებისა და სიხარულისა.

# თბილისის დინამოს გაუმარჯოს!

## ერთი დიდი ამბავი ხომ დაგვიტოვა შვილიშვილების გულის ასანთებად





# ახალკაცი ახალი კაცი. რომელიც სიკვდილის მერეც ახალი კაცია



# საქართველოს ნამი!

დღეს თბილისის ეზოებში ბიჭები ისევე დასდევენ ბურთს, როგორც 20 წლის წინ, მაგრამ მათ ოცი წლის წინანდელ ბავშვებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ — თავიანთი საყვარელი კლუბების ოფიციალურ მაისურებში გამოწყობილან და ზურგზე რაული და ზიდანი ისეთივე ასოებით აწერიათ, როგორითაც თავად რაულს და ზიდანს. მათ კიდევ ერთი და ძალიან დიდი უპირატესობა აჩუქა განგებამ — ოცი წლის შემდეგ, შესაძლოა, ნარკომანების თაობად არ ჩამოყალიბდნენ, რადგან იმედია, მათი ქვეყნიერების გაცნობის ასაკი ტყვიების აკომპანიმენტით არ ჩაივლის და ფონად სისასტიკე არ გაჰყვება.

ოცი წლის წინანდელი ბავშვები კი ბურთს იმ მაისურებში დასდევდნენ, რაც მშობლებმა უყიდეს და გვარების ზურგზე წარწერის ნაცვლად გაჰკიოდნენ: „მე ყიფიანი ვარ“, „მე ჩივაძე ვარ“, „მე შენგელია ვარ“, „მე გუცაევი ვარ“.

...დღეს თბილისის დიდ სტადიონზე ახალგაზრდებიც დასდევენ ბურთს, როგორც 20 წლის წინ, მაგრამ მათ ოცი წლის წინანდელებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ — თავიანთი საყვარელი კლუბების ოფიციალურ მაისურებში შეუძლიათ გამოეწყონ, ზურგზე საკუთარი გვარი წაიწერონ და ალალი ხელფასით მილიონერები გახდნენ. მათ კიდევ ერთი ძალიან დიდი უპირატესობა უძლვნა დრომ — ოცი წლის შემდეგ იმავე დიდი სტადიონის ტრიბუნაზე ჩამომსხდარნი, არ არის გამორიცხული, რომელიმე ქართული გუნდის, საკუთარი შვილების და მოსწავლეების დიდი წარმატების მოწმენი შეიქნან.

თორემ ისე ყველაფერს აზრი დაეკარგება. 20 წლის შემდეგ, ღმერთმა ყველა კარგად გვამყოფოს და, ღიმილისმომგვრელი იქნება იმის წერა, რომ 40 წლის წინ, 1981-ის 13 მაისს დიუსელდორფში...

ჯერჯერობით კი შეიძლება... აუცილებელიცაა, რადგან მხოლოდ 20 წელიწადია გასული. დიახ, 1981 წლის 13 მაისს, დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნამი შექმნეს.

**ილია ბაბუნაშვილი**



## 1980-81 წლების თასების მფლობელთა თასი

### ფინალი

13 მაისი 1981. დიუსელდორფი. „რაინშტადიონი“. 9 000 მაყურებელი

**დინამო (თბილისი) 2:1 კარლ ცაისი (იენა, გდრ)**

0:1 ჰოპე (63), 1:1 გუცაევი (67), 2:1 დარასელია (87)

დინამო: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი 68), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

კარლ ცაისი: გრაპენტინი, ბრაუერი, ჰოპე (ოვერმანი 89), შილინგი, კურბიუვაიტი, შნუპჰაზე, კრაუზე, ლინდემანი, ბილაუ (ტიოპფერი 76), რააბი, ფოგელი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

მსაჯი: რიკარდო ლატანცი (იტალია)





საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

# 8 ტური

## VII–XII ადგილები

# ე, ბიჭო, ერთხელ მაინც გაგვახარეთ



სამტრედიელმა აკაკი კაკაშვილმა ვახტანგ აკოფიანს (№2) ბურთი ვერ აართვა

თბილისი
11 მაისი
18 საათი
შევარდენი
200 (ტევადობა 3 000)

**იბერია 1:2 დილა**

0:1 ეჯოშვილი (20), 1:1 კაკაშვილი (21), 1:2 ხორგუაშვილი (53)

**იბერია:** ცინაძე, შ. ლაცაბიძე (გ. ნოზაძე 78), სანიკიძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე (ლ. ვაშაკიძე 85), ჩაჩუა, გულორდავა (ქვანია 46), თარგამაძე, კაკაშვილი, გაგუა, ქიბბრიშვილი

სათადარიგონი: ნადირაშვილი, შ. ჩომახიძე, იეჩიანი

**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი (გ. ჩიტაია 68), რ. სალამურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაცაძე (მ. ბურნაძე 78), ლომიძე, ფეზუაშვილი (საყვარელიძე 35), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი

სათადარიგონი: თ. ილურიძე, ა. ბოკერია, გოგინაშვილი, დ. მაისურაძე

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ლ. სილაგავა, ვ. ჩოჩიშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**ვაჟა ხუციშვილი**

**ისედაც** გასავარდნად განწირულ სამტრედიელებს, რომელთაც ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ, ალბათ არ უნდა ჰქონოდათ ილუზიები იმის თაობაზე, რომ მაინცდამაინც ამ მატჩში მოიპოვებდნენ პირველ გამარჯვებას და ლიხს იქით დარჩენილ ნაცნობ-ნათესავებს გაახარებდნენ.

ფაქტია, რომ მუდამმზიანი სამტრედიული კლუბი შავ ღრუბლებში აღმოჩნდა (იმედია, დროებით) და არავინ იცის, როდის გამოანათებს კიდევ მისი მზე. სამაგიეროდ, პირველი არხის გადაცემაში — „აზრი“ ჯიუტად ამტკიცებენ, იბერია გაბრწყინდებაო.

როგორც ჩანს, სტალინის სახლ-მუზეუმიდან სპილენძის სამოვარის ფერადი ლითონების პუნქტში გადანაცვლებამ გორელებზე დიდად არ იმოქმედა.

თსუ-სა და „გორდასთან“ ერთად ჯგუფში დასარჩენად მებრძოლმა ქართლელებმა მატჩის დასაწყისშივე ყოველგვარი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის გარეშე შეუტიეს მეტოქის კარს.

დებიუტშივე რევაზიშვილმა რამდენჯერმე სცადა მასპინძელთა კარის დარაჯის, ცინაძის შეწუხება, რომლის ფანაგულდელებისადმი შემახილიც — რა მკვდრებივით დადიხართო, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის უნიკალურობას. ჩვენთან მკვდრებიც კი დადიან თურმე. რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის.

20-ე წუთზე „იბერიას“ კართან კუთხური ჩამოაწოდეს. ცინაძე გამოსვლაზე შეცდა და ეჯოშვილმა თავურით „დილა“ დააწინაურა.

მასპინძლებმა თამაში განაახლეს თუ არა, აკაკი კაკაშვილმა სტუმართა ეიფორიით ისარგებლა და დაახლოებით 20-22 მეტრიდან ზუსტად გაისროლა სოლოლაშვილის კარისაკენ.

1:1 და სამტრედიელებს პირველი გამარჯვების იმედი ჩაესახათ, მით უმეტეს, რომ გორში 7:1 დამარცხებისთვის რევანშის აღება მართებდათ.

სტუმრებს სამი ქულა ისევე ესაჭიროებოდათ, როგორც ჩვენს პენსიონერებს პენსია და ამიტომაც ხან ეჯოშვილმა და ხანაც ფეზუაშვილმა სცადეს კიდეც მეორე გოლის გატანა, მაგრამ ამაოდ.

მეორე ტაიმი საყვარელიძისა და რევაზიშვილის ზედიზედ შესრულებული საჯარიმო დარტყმებით დაიწყო. მათ ორჯერვე შემოატარეს ბურთი კედელს და ორჯერვე ცინაძემ იმარჯვა. მასპინძლები გაჩერდნენ მთელი გუნდით, „დილა“ კი გოლის გატანას ლამობდა.

53-ე წუთზე გორული დილა გათენდა. საჯარიმოში კარისკენ ზურგით მდგომმა ხორგუაშვილმა ბურთი მიიღო და ზუსტი დარტყმით ცინაძეს შორეულ მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

ამის შემდეგ, როგორც ქართულ ფეხბურთს ეკადრება, იყო მრავალი გამოუყენებელი მომენტი „იბერიას“ კართან, რის გამოც გორელ მეკარეს კინაღამ ნერვები დააწყდა. სამტრედიელები კი იდგნენ იბერიის მთებივით და ელოდნენ. შესაბამისად მიიღეს ის, რასაც ელოდნენ. კიდევ ერთი მარცხი და ბუნდოვანი პერსპექტივები.

ერთადერთი, რაც გაუგებარი დარჩა ამ მატჩის შემდეგ, ის არის, რომ ვერ მივხვდი, რატომ აგინებდნენ მსაჯებს. სხვა ყველაფერი კი ნათელია: „დილა“ გორში, „იბერია“ კი...

# პირველი სანუგეშოდ

ბათუმი
11 მაისი
18 საათი
დინამო
300 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 3:0 სიონი**

1:0 მაჭუტაძე (7), 2:0 ტულუში (40), 3:0 მაჭუტაძე (83)

**ბათუმი:** ქანტურია, მახარაძე, მინდაძე, ბაბიძე, მგალობლიშვილი, ქაცარავა (ჩიჩუა 70), ლლონტი, გვეტლეპიანი (რომანაძე 78), მაჭუტაძე (ბეჟანიძე 85), ტულუში, აფხაზავა

სათადარიგონი: ბალაძე, ფულუჯიშვილი, გელა ქორიძე, დარჩიძე

**სიონი:** ვოლკოვი (დალაქიშვილი 46), მინდიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, ბარნოვი, სოლოლაშვილი, მოსეშვილი, სვანიძე, აშნიძე, კ. მეტრეველი (მ. გოგოლაძე 46), ისიანი

სათადარიგო: გაბისონია

**მსაჯები:** ს. კვირაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე, გ. კუჭიშვილი (ორივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. მამუკაშვილი

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**გუშინ** „დინამოზე“ ქვეექვსეულის ლიდერები ეთამაშნენ ერთმანეთს. მატჩის ინტრიგა ცოტა, მაგრამ მაინც იყო. გამარჯვებული, ფაქტობრივად, ჯგუფის პირველ საფეხურზე გამაგრდებოდა და გავარდნის უმცირესს შანსსაც ნულზე დაიყვანდა.

შედარებით ოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე „სიონს“ მასპინძლები გარკვეული დანაკარგებით დაუხვდნენ. ამირან მუჯირი ტრავმირებული იყო, ხოლო გელა ქორიძე სათადარიგოთა შორის ვიხილეთ, თუმც ბოლნისელთა დამარცხებისთვის ეს ხელისშემშლელი ფაქტორი არ აღმოჩნდა.

„ბათუმი“ თავიდანვე შეტევაზე დაიგეშა და მეორე წუთზევე ქაცარავა შორეული დარტყმით მეტოქის კარს დაემუქრა, ხუთიოდ წუთში კი მასპინძლებმა გაიტანეს კიდეც. პაატა მაჭუტაძემ შალვა აფხაზავასთან კედელი გაითამაშა. საჯარიმოში შესულმა სიდამონიძეც ჩამოიცილა და ვოლკოვსაც აუღებელი დაურტყა.

გაშვებულმა გოლმა დააბნია სტუმრები და მთელი ტაიმის განმავლობაში მათ გონს მოსვლა ვერა და ვერ მოახერხეს. ხეირიანად „ბათუმის“ კარს არც დამუქრებიან.

პირველი წუთების აქტიურობის მერე, არც ზღვისპირელებს გამოუდვიათ თავი. ბრძოლაც ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა და მეორე გოლამდე სახიფათო სიტუაციები თვალით არავის უნახავს.

მეორე გოლი კი ტაიმის ბოლოს გავიდა. დაახლოებით 25 მეტრიდან თემურ ტულუშმა ბურთს მარცხენა ფეხი მძლავრად მოუქნია და მეკარისგან შორეულ მარჯვენა კუთხეში, ცხრიანში მიუჩინა ადგილი.

შესვენების შემდეგ გიორგი ყიფშიძემ შეცვლები მოახდინა და ტაქტიკური სქემაც შეცვალა. ამან თითქოს შედეგი გამოიღო და ერთხანს „სიონმა“ თამაში დაალაგა.

„ბათუმი“ უფრო კონტრშეტევებისთვის დაიგეშა და თამაშიც შედარებით საინტერესო გახდა. მატჩის განახლებისთანავე მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ. სამართლიანადაც, რადგან საჯარიმოში ირემაშვილმა ბურთი ხელით დაიმორჩილა. თუმცა სერგო კვარაცხელიამ ეს ვერ შენიშნა.

„სიონმა“ პირველად მეტოქის კარისკენ მე-60 წუთზე დაარტყა და საკმაოდ სახიფათოდაც. შეცვლაზე შესულმა მურმან გოგოლაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან ოდნავ ააცილა, თორემ გრიგოლ ჭანტურია უძლური იქნებოდა.

ეს იყო და ეს, სტუმართ მერე „ბათუმის“ დაცვა ხეირიანად არ შეუწუხებიათ და თანდათანობით სათამაშო ინიციატივა კვლავ ზღვისპირელთა ხელში გადავიდა.

„ბათუმმა“ 83-ე წუთზე მესამეც გაიტანა. მარჯვენა ფლანგიდან ივანე მახარაძის საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს მაჭუტაძემ თავი დაუხვედრა და გაშვებული გოლის სიმწარე დალაქიშვილსაც აგრძნობინა.

დარჩენილ დროში არც არაფერი მომხდარა განსაკუთრებული და „ბათუმმა“ სამბურთიანი სხვაობა იოლად შეინარჩუნა. შედეგად „სიონი“ ხუთი ქულით ჩამოიტოვა და მყარად გამაგრდა პირველ ადგილზე, რომელიც ერთგვარად სანუგეშო და გულის მოსაოხებული თუ იქნება ზღვისპირელთათვის.



მეორე გოლი თემურ ტულუშისა (თეთრ მაისურში) იყო


# 20 მაისს თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში

ვიწვევთ ყველა მსურველს 20 მაისამდე სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება მსურველების გაერთიანება ფედერაციაში. ისინი გადაიხდიან საწევრო 10 ლარს, გახდებიან რა ფედერაციის წევრები, მიიღებენ ფედერაციის მოწმობას და უფლებას, ჩაებან ჩემპიონატის შესარჩევ ტურში

## ჩემპიონატის პროგრამა

1. ჩემპიონატი ტარდება კომპიუტერულ ფეხბურთში SOCCER 2000-ში.

2. ორი ასაკობრივი კატეგორია 17 წლამდე და 17 წლის ზევით.

3. ჩემპიონატის შესარჩევი ტური ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, რომლის შემდეგ გამოვლინდება 16 უძლიერესი მოთამაშე, ხოლო მათ შორის გათამაშდება ჯგუფური ტურნირი.

4. გამოვლინდება ტურნირის ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვდება ფულადი პრიზითა და სიგელით ჩემპიონის წოდებით. ასევე დაწესებულია მეორე და მესამე ადგილები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.




5. დაწესდება საკვალიფიკაციო რეიტინგი I ჯოისტიკი, II ჯოისტიკი, III ჯოისტიკი და ა.შ. მე-16 ჯოისტიკი.

6. საასპარეზო გუნდის არჩევა თავისუფალია. ჩემპიონატში მონაწილეობის დროს მონაწილეს შეუძლია ითამაშოს საკუთარი ჯოისტიკით, რაზედაც მან წინასწარ უნდა განაცხადოს.

7. ჩემპიონატის სიგელით დაჯილდოვდება 32 მონაწილე, რომლებიც მომავალ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მიიღებენ მონაწილეობას შესარჩევ ტურში და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ჩაერთვებიან ჩემპიონატში.

8. საპრიზო ფონდისა და მისი განაწილების შესახებ ცნობილი გახდება ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღეს.

ტურნირის საფინალო ეტაპის დღეს განზრახულია სარეკლამო დაფების განლაგება. რეკლამის მსურველ ორგანიზაციებსა და ფირმებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ჭავჭავაძის №49 ა. სპორტის დეპარტამენტის შენობა IV სართული. საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია. ტელ 23-56-93 8(99) 15 48 97

ასევე ფირმებს შეუძლიათ წაახალისონ ჩვენი მონაწილეები და გაზარდონ საპრიზო ფონდი ან დააწესონ ფასიანი საჩუქრები. მათი მოღვაწეობისა და დახმარების შედეგები გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

აქვე მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტსა და სპორტის სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია

# გატანა და გამოტანა ქულასავით მერთი იყო

## სათუო თუა, თსუ-ა



რუსთაველებმა ბევრი ურტყეს, გატანით კი არმაზ ჯელაძემ (შუაში) გაიტანა

მცხეთა
11 მაისი
18 საათი
არმაზი
800 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:1 გორდა**

0:1 ჯელაძე (56), 1:1 მერებაშვილი (67)
**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, ჯობავა, არეშიძე, დათუნაშვილი (ბეროშვილი 83), ზ. მეტრეველი, მერებაშვილი, მქხი, შ. ნოზაძე
სათადარიგონი: სტურუა; ფირცხალაიშვილი, ლობჟანიძე, ქურაშვილი, შოშიაშვილი
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, ბერიძე, გელაძე (ბექაური 70), ლაშა სილაგაძე, მელაძე (კიტეიშვილი 80), ალადაშვილი, გ. გ. მიქაძე, ჯულელი, ჯელაძე
სათადარიგონი: გუგუნავა; ლაბაძე, თ. მეტრეველი, მიშველაძე
**გაფრთხილება:** არეშიძე (63), მიქაძე (72)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

**საქმე** აი, ასე იყო, „გორდას" გუშინდელი მოსაგები თამაში რომ მოეგო, მეტად გაიუმჯობესებდა უმლიერესთა ლიგაში დარჩენის შანსს.

თსუ-სთვისაც მნიშვნელოვანი გახლდათ სამი ქულა. თუმცა კი ისინი თავს მაინც ვერ დაიარხეინებდნენ, რადგანაც ბოლო ორ ტურში ჯერ ბოლნისს სტუმრობენ, მერე შინ „ბათუმს" მასპინძლობენ. თსუ-სთვის ორივე ისეთი მატჩია, გუშინდელი ქულითაც კმაყოფილნი უნდა იყვნენ.

ერთი სიტყვით, „არმაზზე" თანაბარქულიანი და ქვექვსეულის აუტსაიდერს აშორებული მეზობლების მატჩი იყო, აქედან გამომდინარე, პრინციპულიც. გამარჯვებულიც, უფრო მეტად კი „გორდა", უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდ ნაბიჯს გადადგამდა. მატჩი ფრედ დასრულდა და ვფიქრობთ, არაკანონზომიერიც ეს იყო — „გორდა" ღირსი გახლდათ შინ სამი ქულით და უძლიერესთა შორის დარჩენის დიდი შანსით დაბრუნებულიყო.

რუსთაველებს პირველსავე ტაიმში უნდა მოემთავრებინათ საქმე სტუდენტებისთვის, ორჯერ გოლის გატანის, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერანაირად იხეირეს. გამოსარჩევია შესვენებამდე „გორდას" შექმნილი მეორე მომენტი. ვეტერანმა ჯულელმა, რომელიც, სხვათა შორის, ახალგაზრდა პარტნიორთაგან მაინც გამოირჩევა, ერთბაშად ორ სტუდენტს — ებრალიძესა და ბერიანიძეს, სადღაც მოედნის შუაში თავით დაასწრო და ჯელაძე მამარდაშვილს პირისპირ შეატოვა. მისი დარტყმა კი საგოლე რომ ჩანდა, არაზუსტი გამოდგა, თანაც საკმაოდ.

შესვენებამდე თსუ-ს ერთი რაა, ის ერთი მომენტიც არ შეუქმნია „გორდას" კართან.

მატჩი მეორე ტაიმშიც ისევე გაგრძელდა, როგორც იქამდე მიმდინარეობდა. „გორდა" უტევდა, მასპინძლები არეულები იყვნენ და ბედიაშვილის კარს ვერც უახლოვდებოდნენ, ჯულელს შეეძლო თავისიანების დაწინაურება. საჯარიმოში ჯელაძის ჩაწოდებული ბურთი მას თავით მიზანში რომ დაერტყა. მერე კი... „გორდა" გატანილ გოლს მაინც სტუდენტებს უნდა უმადლოდეს. მასპინძლები ზედიზედ რამდენჯერმე შეცდნენ, თანაც სრულიად მარტივი სიტუაციებისას და ბოლოს ამით ჯელაძემ ისარგებლა — მამარდაშვილს ნახევარი მეტრიდან დაურტყა.

თითო-ოროლა თუ იფიქრებდა, თსუ ამ გოლის შემდეგ „გორდასთან" ქულას მაინც გამორჩებაო, მაგრამ სტუდენტებმა ანგარიშის გასათანაბრებლად სულ წუთიღა იკმარეს. საჯარიმოს ახლო-მახლო გამოცდილ ბურნაძეს ბურთი ნოზაძემ დაატოვებინა და ჩინებული პასით მერებაშვილი ბედიაშვილთან პირისპირ დატოვა — სტუდენტებმაც იყოჩაღა, არ დააყოვნა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

„გორდას" ამის შემდეგაც ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი, მაგრამ თავდამსხმელები სცოდავდნენ. თსუ კი ამ დროს ცოტა რომ გათამამებულიყო, ეგებ მოეგო კიდეც.

ახლა ორივე გუნდს 20-20 ქულა აქვს, თუმც რუსთაველებს შედარებით უკეთესი კალენდარი და, ალბათ, პირველი ლიგის მესამე გუნდსაც ისინი შეებრძოლებიან.



ორივე წაიქცა, ბურთი სხვასთან გაიქცა

**VII–XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:3 | '29 |
| სიონი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:10 | 24 |
| დილა | 8 | 4 | 1 | 3 | 15:7 | 22 |
| გორდა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 20 |
| თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 8:15 | 20 |
| იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 6:21 | 3 |

„გორდა" — „სიონის" მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას" სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი
12

**8 ტური**

**I–VI ადგილები**

**სამგურალი 3:2 გურია**

**შუქურა 0:3 მილანი**

**მეტალურგი 1:0 ცხინვალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:4 | 37 |
| სამგურალი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:6 | 35 |
| გურია | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 35 |
| მეტალურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:11 | 32 |
| ცხინვალი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 26 |
| შუქურა | 8 | 0 | 3 | 5 | 2:13 | 23 |

# სევასტი არაფერ შუაშია

## კრიჭაშვილს არჩვაძე უნდა გაეყვითლებინა

**გუშინ** ფეხბურთის ფედერაციაში მისულმა დავით ყიფიანმა სამსაჯო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოს „ტორპედო" — „ვიტ ჯორჯიას" ვიდეოჩანაწერი გადასცა. ცხადი იყო, „ტორპედოსა" და ეროვნული გუნდის თავკაცი რაღაცის დამტკიცებას აპირებდა.

მეშვიდე ტურის ის მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა. მსაჯმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა კი 90 წუთში 9 ფეხბურთელი გააფრთხილა. გაყვითლებულთა შორის სევასტი თოდუაც იყო. ასეა დაფიქსირებული თამაშის ოქმშიც.

ყიფიანს ჩანაწერი თოდუას უბრალოობის დასამტკიცებლად დასჭირდა. სადავო მომენტში კრიჭაშვილმა სევასტი კი არა, ზურაბ არჩვაძე გააფრთხილაო.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, თოდუამ კი არა, არჩვაძემ მიიღო ყვითელი ბარათიო, არ დავიჯერებდი და ყველაფერს ეჭვის თვალით შევხედავდი, მაგრამ ჩანაწერის განხილვას თქვენი მონა-მორჩილიც დიდსულოვნად დაასწრეს და ეჭვიც გაქრა.

...მასპინძლები მოედნის ცენტრში ჯარიმდებიან. ვიტელები ბურთს ლაშა ნოზაძისკენ გზავნიან, რომელიც მარჯვენა ფლანგზე ყიფიანს აწვდის პასს. გიორგი ბურთს მიიღებს თუ არა, უკნიდან ვარდნაში მასპინძელთა მეოთხე ნომერი დაუპირებს შეჩერებას და წააქცევს.

კრიჭაშვილი თამაშს გააჩერებს და წესის დარღვევის ადგილისკენ მიეშურება, გზად ყვითელ ბარათსაც ამართავს. ქუთაისელთა 4 ნომერი ყიფიანს უბოდიშებს, სევასტი თოდუა კი ახლომახლო აღარ ჩანს. ფაქტია, „ტორპედოს" მეოთხე ნომერი ზურაბ არჩვაძეა. გამოდის, თოდუა უბრალო ყოფილა.

სამსაჯო კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა — გაუქმდეს მატჩის ოქმში შეცდომით ჩაწერილი გაფრთხილება, რომელიც თოდუას დღევანდელ მატჩს გამოატოვებინებდა. დაფიქსირდეს ზურაბ არჩვაძის უხეშობა და გაფრთხილება.

აქედან გამომდინარე, თოდუა დღეს „მერანთან" ითამაშებს, ხოლო რახან მეშვიდე ტურში მიღებული ყვითელი ბარათი მესამეა არჩვაძისთვის, ავჭალას ზურაბი მაყურებლის სტატუსით ეწვევა.

მატჩის არბიტრს ალექსანდრე კრიჭაშვილს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, სათადარიგო არბიტრ ზურაბ ანიაშვილს და მატჩის დელეგატ ბადრი ქარქაშაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს უკანასკნელი გაფრთხილებით.

**მამუკა ძგანტალიანი**



სევასტი თოდუა

# სულით და გულით გერმანიაში

## დეკანოსიძე ფიურტის სიტყვას ელის

**თითქმის** ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და „ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძე გერმანიის მეორებუნდესლიგელ „ფიურტში" გადაბარდგა. 20 წლის ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელთან ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა გუნდის ხელმძღვანელობამ და მოწონების შემთხვევაში ჩვენებურს ხელშეკრულების 2 წლით გახანგრძლივებასაც დაჰპირდა.

„ფიურტის" თავკაცი გიუნტერ ერკენბრეხერი უკმაყოფილო მხოლოდ დეკანოსიძის ფიზიკური კონდიციებით დარჩა, სხვა მხრივ კი იქაურ ჟურნალისტებთან არაერთხელ აღუნიშნავს ჩვენებურის გააზრებული და ტექნიკურად დახვეწილი თამაში. მწვრთნელი დეკანოსიძეს ძირითად გუნდში დამკვიდრებასაც დაჰპირდა, მაგრამ, ეტყობა, ეს მომავალი სეზონისთვის გადაიდო. დღემდე დეკანოსიძეს „ფიურტის" შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ მოუხდა რამდენიმე წუთით შეცვლაზე შესვლა, დანარჩენ დროს კი „ფიურტის" სარეზერვო შემადგენლობაში თამაშობდა. სხვათა შორის, გერმანიის მეორებუნდესლიგელთა დუბლიორებიც თავიანთ ჩემპიონატში არიან ჩაბმულნი, იქ კი „ფიურტი 2" პირველ ადგილზეა, დეკანოსიძე კი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ამპლუით ნახევარმცველს უკვე 6 გოლი აქვს გატანილი. ისე ცოტა უცნაურიც კია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხემძღვანელები რატომ ტოვებდნენ ბოლო დროს ამ ფეხბურთელს უყურადღებოდ.

დეკანოსიძის მომავალს რაც შეეხება, მას სულით და გულით სურს გერმანიაში დარჩენა და როგორც ჩანს, ამ მხრივ პრობლემებიც არ შეექმნება, რადგან გიორგის თქმით, რამდენიმე დღეში „ფიურტის" ხელმძღვანელობას კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე უნდა შეხვდეს.

**პაატა ძგანტალიანი**

## იტალია

პაპუნა კადია



პირველი წრის პარმა — რეჯინა უშედეგოთ ბრძოლით, სტუმართა გამარჯვებით და მასპინძელთა მწვრთნელის გადადგომით დასრულდა

# რომა მართლა ჩემპიონია?

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| გუშინ | | |
| ფიორენტინა | — | იუვენტუსი |
| ინტერი | — | მილანი |
| ხვალ | | |
| რომა | — | ატალანტა |
| ბრეშა | — | ბოლონია |
| ნაპოლი | — | ლაციო |
| ვერონა | — | ლეჩე |
| რეჯინა | — | პარმა |
| უდინეზე | — | პერუჯა |
| ბარი | — | ვიჩენცა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 29 | 19 | 7 | 3 | 57:28 | 64 |
| ლაციო | 29 | 18 | 5 | 6 | 53:30 | 59 |
| იუვენტუსი | 29 | 16 | 10 | 3 | 48:24 | 58 |
| პარმა | 29 | 14 | 8 | 7 | 44:22 | 50 |
| მილანი | 29 | 11 | 11 | 7 | 46:40 | 44 |
| ინტერი | 29 | 12 | 8 | 9 | 41:35 | 44 |
| ატალანტა | 29 | 10 | 12 | 7 | 35:28 | 42 |
| ბოლონია | 29 | 11 | 8 | 10 | 41:40 | 41 |
| ფიორენტინა | 29 | 9 | 12 | 8 | 48:42 | 39 |
| პერუჯა | 29 | 10 | 9 | 10 | 42:44 | 39 |
| ბრეშა | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 |
| უდინეზე | 29 | 10 | 3 | 16 | 42:50 | 33 |
| ვიჩენცა | 29 | 8 | 7 | 14 | 31:42 | 31 |
| ლეჩე | 29 | 7 | 10 | 12 | 35:49 | 31 |
| ნაპოლი | 29 | 6 | 10 | 13 | 27:44 | 28 |
| ვერონა | 29 | 7 | 6 | 16 | 31:51 | 27 |
| რეჯინა | 29 | 7 | 5 | 17 | 25:45 | 26 |
| ბარი | 29 | 5 | 4 | 20 | 26:56 | 19 |

**ამ** კითხვაზე მკითხველი უფრო დაბეჯითებით პასუხს გასცემს, რადგან „ფიორენტინას“ და „იუვენტუსის“ გუშინდელი თამაშის შედეგი ეცოდინება, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რაც დღეს, იტალიის დროით 13 საათზე, ხოლო ჩვენებურად ექვსზე უნდა მოხდეს.

დღეს, ხსენებულ დროს, თავად „რომა“ „ატალანტას“ მასპინძლობს, ხოლო მისი ახალი მდევარი „ლაციო“, რომელმაც წინა კვირას ამ საპატიო „თანამდებობაზე“ „იუვენტუსი“ შეცვალა, ნეაპოლში გაარკვევს თავის საქმეს.

„რომა“ — „ატალანტა“ პირველ და მეშვიდე ადგილებზე მყოფთა დაპირისპირებაა. რომაელთა თავდასხმაში წინა მატჩთან შედარებით კი ცვლილებაა მოსალოდნელი: მარკო დელვეკიოს ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში ვინჩენცო მონტელას ვიხილავთ.

მოგეხსენებათ, მონტელამ წინა კვირას, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ უმნიშვნელოვანესი, მასპინძელთათვის ქულის გამომგლეჯი გოლი გაიტანა. იმ შეხვედრაში რომაელთაგან კიდევ ერთი გოლი იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ შეაგდო, მაგრამ მონტელასგან განსხვავებით ნაკატას ძირითადში ადგილი ვერ მოენახა.

„ატალანტა“ კი ის გუნდია, რომელსაც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მოხვედრის იმედი გადაეწურა და თან „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაშავებული ნახევარმცველების, დამიანო მენონის და დომენიკო მორფეოს გარეშე გავა.

„ლაციოს“ მეტოქე და მატჩის მასპინძელი „ნაპოლი“ კი სერია A-ში დარჩენის სურვილითაა შეპყრობილი. რომაელებს ჩეხი პაველ ნედვედის ჯანმრთელობის ამბავი აღელვებთ. თუ ნედვედი თამაშს ვერ შეძლებს, მაშინ დინო ძოფი მის ნაცვლად იუგოსლაველ დეიან სტანკოვიჩს ათამაშებს.

მეოთხე ადგილზე მედგრად მიმავალი „პარმა“ დღეს „რეჯინას“ სტუმრობს. საგულისხმოა, რომ კალაბრიელებმა პირველ წრეში, პარმაში გაიმარჯვეს და სწორედ იმ შედეგის გამო გადადგა ალბერტო მალეზანი, რომლის ნაცვლადაც საქმეს რენცო ულივიერი შეუდგა. ულივიერის განაცხადში შეყვანილი ოთხივე ფორვარდი ფორმაში ჰყავს. თუმცა, როგორც ამბობენ, უპირატესობას სავო მილოშევიჩსა და მარკო დი ვაიოს მიანიჭებს.

რობერტო ბაჯოს „ბრეშა“ ბოლონიელებს სრული შემადგენლობით დაუხვდება. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის მაყურებელი მეტოქის შემადგენლობაში იტალიური ფეხბურთის მეორე ვეტერან-ვარსკვლავს, ჯუზეპე სინიორის იხილავს.

შეგახსენებთ, ბაჯომ ბოლო ექვს ტურში მოედანი სულ მცირე ერთი გოლის გარეშე არ დატოვა, სინიორის გასწვრივ კი ბომბარდირთა სიაში 12 გოლი წერია.

## ინგლისი

გიგა [illegible]

# ფრანგული კოცნა

| ასოციაციის თასის ფინალი | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| არსენალი | — | ლივერპული |

**თამაში** უელსურ სტადიონზე ტარდება, თასი ინგლისურია, ორივე მეტოქის მწვრთნელი კი — ფრანგი. ჰოდა, გაწი-გამოწიე, უძველეს საფეხბურთო ჯილდოს დღეს ერთი ფრანგი მაინც ჩაიხუტებს და ვნებიანად ჩაკოცნის.

თასების თასი აღარ არსებობს, ქვეყნის თასის მფლობელნიც უეფამ თავის სახელობის ტურნირზე გადაგზავნა, „ლივერპული“ და „არსენალი“ კი მთელი წელი ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძოდნენ. მაშ, რაღა რჯით ამ გუნდებს, ევროტურნირები რომ ისედაც გაუნაღდებიათ, დღეისთვის საგანგებოდ მოემზადონ და კარდიფის „მილენიუმზე“ თავი არ დაზოგონ? თანაც ოთხ დღეში მერსისაიდელებს აბობოქრებული „ალავესი“ ელის დორტმუნდში... პასუხი მოკლედ მოვჭრათ: გათანამედროვებულ ინგლისშიც კი ტრადიციებს უდიდეს პატივს სცემენ.

არადა, ბევრისთვის ეს ფაქტი, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. „ტოტენჰემთან“ ნახევარფინალის წინ იყო, ტიერი ანრიმ რომ გაიკვირვა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი გვაქვს სათამაშო და ჩვენი გულშემატკივრები უმთავრესად მაინც მეზობელთან მატჩზე საუბრობენო. ანრის დარად, „არსენალის“ კიდევ ერთ ფრანგ მეგოლეს, 18 მილიონად შეძენილ სილვენ ვილტორდსაც ვერ გაუგია, რატომაა ასეთი ამბავი ატეხილი ამ ერთი არსადგამსვლელი თამაშის გამო. ვერ გაუგია და, ალბათ, ვერც ითამაშებს — საქმე ის გახლავთ, რომ ვილტორდმა ხუთშაბათს ვარჯიშზე მისვლა არ იკადრა, „მეთოფეთა“ ნერვებმოშლილ თავკაცობას კი საღამოს... ტელეეკრანიდან გამოეცხადა. თურმე ნუ იტყვით და თავისი 27-ე დაბადების დღე ევრო 2000-ზე იტალიასთან გამქვითავი გოლის ავტორს პარიზში, ბავშვთა საქველმოქმედო საღამოზე გაუტარებია.

დახუჭავს ვენგერი თვალს თანამემამულის საქციელზე? ძნელი სათქმელია. ერთი მხრივ, ბოლო 7 თამაშში ვილტორდმა 6 გოლი გაიტანა, თანაც, „არსენალმა“ რომ ფინალში გააღწია, სწორედ მისი ზუსტი დარტყმების წყალობით (აქაც 6 გოლი. მეორეზე პირესია სამით), მაგრამ მეორე მხრივ, თავგასულობას ვარსკვლავებსაც არ პატიობენ, მით უმეტეს, რომ მინდორს დენის ბერხკამპი დაუბრუნდა — იმ დროს, როცა ვილტორდი პარიზში ერთობოდა, ჰოლანდიელი „ტოტენჰემის“ სარეზერვო გუნდთან შეხვედრაში ოფლს ღვრიდა. მოკლედ, რა იქნება და როგორ, „მილენიუმზელა“ გამოჩნდება, მანამდე კი ამ წერილისთვის გამოყოფილი ფართი ინგლისის თასის ფინალთა ისტორიის რამდენიმე საინტერესო ფაქტის გახსენებით შევავსოთ.

დღევანდლამდე ეს ორი გუნდი ფინალში ერთმანეთს ორჯერ შეხვედრია — 1950 და 1971 წლებში. ორივე მატჩი „არსენალმა“ მოიგო (2:0 და 2:1) და ორჯერვე ლონდონელებს სასტუმრო, ყვითელი ფორმა სცმიათ.

სულ ქვეყნის თასის გათამაშებაში „ლივერპული“ 13-ჯერ შეხვდა „არსენალს“. ხუთჯერ ლონდონელებმა მოიგეს, ოთხჯერ კი — ლივერპულელებმა. ბოლოს მერსისაიდელებმა მეტოქე 1964 წლის გათამაშებაში დაამარცხეს. ბოლო ამათი დუელი 1980 წლის ნახევარფინალში შედგა და ქანცგამწყვეტი ბრძოლით გამოირჩა: შეფილდის „ჰილსბოროზე“ უგოლო პირველ მატჩს ბირმინგემის „ვილა პარკზე“ ორი 1:1 მოყვა (მაშინ მხოლოდ ერთი გადათამაშების ლიმიტი და გამარჯვებულის პენალტებით გამოვლენა არ არსებობდა) და გამარჯვებული მხოლოდ მეოთხე შეხვედრაში, ქოვენთრიში გაირკვა — ბრაიან ტალბოტის ერთადერთი გოლით ფინალში „არსენალი“ გავიდა, თუმცა ცხრა დღის მერე „უემბლიზე“ იმ დროს მეორედივიზიონელ „ვესტ ჰემთან“ 0:1 წააგო (თასების თასზე გასულ „ვესტ ჰემს“ კი ჩვენმა „დინამომ“ მოუღო ბოლო);

თუ დღეს „არსენალი“ იმარჯვებს, ეს მისი მერვე თასი იქნება და მეზობელ „ტოტენჰემს“ დაეწევა. ამაზე მეტჯერ ქვეყნის თასი მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუპოვებია — ათჯერ. ჩემპიონობის რეკორდი კი „ლივერპულს“ ეკუთვნის (18).

თუ დღეს „ლივერპულმა“ მოიგო, ის ამ ჯილდოს მეექვსედ ჩაიბარებს, ხოლო თუ ულიეს გუნდმა დღესაც იმარჯვა და ოთხშაბათსაც „ალავესთან“, „ლივერპული“ პირველი ბრიტანული გუნდი გახდება, ვისაც ერთ სეზონში სამი სათასო შეჯიბრი ერთდროულად მოუგია;

„ლივერპულს“ შანსი აქვს გახდეს ასევე მეორე გუნდი, ვისაც ორივე ინგლისური თასი — ლიგისა და ასოციაციისა — ერთ სეზონში მოუპოვებია. ჯერჯერობით ამის შემძლე „არსენალია“, რომელმაც 1993 წელს ორივე თასის ფინალში „შეფილდ უენსდი“ დაამარცხა;

ასოციაციის თასის 129-წლიან ისტორიაში დღევანდელი ფინალი პირველია, როცა თასის მოპოვების ორივე პრეტენდენტს უცხოელი წვრთნის;

წლევანდელი ფინალი ბოლო 79 წელიწადში პირველია, რომელიც „უემბლიზე“ არ ტარდება. ბოლო ასეთი ფინალი 1922 წელს „სტემფორდ ბრიჯზე“ შედგა და „ჰადერსფილდმა“ „პრესტონს“ 1:0 მოუგო;

ის თასი, რომელიც დღეს გამარჯვებულს გადაეცემა, 1992 წელს დამზადდა, თუმცა გარეგნულად ზუსტად იგივეა, როგორიც მისი წინამორბედი 1911-1991 წლებში. სულ კი ეს ჯილდოს მეოთხე ვარიანტია. საინტერესოა, რომ 1992-ში „ახალი“ თასი პირველად სწორედ „ლივერპულმა“ იგდო ხელთ, როცა ფინალში „სანდერლენდი“ 2:0 დაამარცხა;

„უილიამ ჰილის“ ბუქმეიკერები ფავორიტად „არსენალს“ მიიჩნევენ, ხოლო პირველი გოლის გატანის უპირველეს კანდიდატად ტიერი ანრის თვლიან.



არის საერთო: ქალიც და თასიც უნდა მოიპოვო!

| პრემიერლიგა | | |
|---|---|---|
| გადადებული მატჩები | | |
| ხვალ | | |
| ლიდსი | — | ბრედფორდი |
| საუთჰემპტონი | — | მანჩესტერ იუნ. |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 36 | 24 | 8 | 4 | 77:26 | 80 |
| არსენალი | 36 | 20 | 9 | 7 | 61:35 | 69 |
| ლივერპული | 37 | 19 | 9 | 9 | 67:39 | 66 |
| იფსვიჩი | 37 | 20 | 5 | 12 | 56:41 | 65 |
| ლიდსი | 36 | 18 | 8 | 10 | 55:41 | 62 |
| ჩელსი | 37 | 16 | 10 | 11 | 66:44 | 58 |
| სანდერლენდი | 37 | 15 | 11 | 11 | 44:39 | 56 |
| ასტონ ვილა | 37 | 13 | 15 | 9 | 46:40 | 54 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 10 | 13 | 50:53 | 52 |
| ლესტერი | 37 | 14 | 6 | 17 | 38:48 | 48 |
| ნიუკასლი | 36 | 13 | 8 | 15 | 41:50 | 47 |
| ტოტენჰემი | 37 | 12 | 10 | 15 | 44:53 | 46 |
| საუთჰემპტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 35:45 | 46 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 44:48 | 42 |
| ევერტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:57 | 41 |
| დერბი ქაუნთი | 37 | 10 | 11 | 16 | 36:58 | 41 |
| მიდლსბრო | 37 | 8 | 15 | 14 | 42:43 | 39 |
| *სიტი* | *37* | *8* | *10* | *19* | *40:63* | *34* |
| *ქოვენთრი* | *37* | *8* | *9* | *20* | *36:63* | *33* |
| *ბრედფორდი* | *36* | *5* | *10* | *21* | *29:64* | *25* |

## გერმანია

ვანო ოქროპირიძე ბერლინიდან

# შალკე და გოლიათი

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უნტერჰახინგი | — | დორტმუნდი |
| კიოლნი | — | ვერდერი |
| კოტბუსი | — | ჰამბურგი |
| ბოხუმი | — | ფრაიბურგი |
| ვოლფსბურგი | — | აინტრახტი |
| შტუტგარტი | — | შალკე |
| ჰანზა | — | მიუნხენ 1860 |
| ბაიერნი | — | კაიზერსლაუტერნი |
| ჰერტა | — | ლევერკუზენი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 32 | 17 | 8 | 7 | 60:31 | 59 |
| ბაიერნი | 32 | 18 | 5 | 9 | 59:35 | 59 |
| დორტმუნდი | 32 | 15 | 9 | 8 | 55:38 | 54 |
| ლევერკუზენი | 32 | 16 | 5 | 11 | 52:39 | 53 |
| ჰერტა | 32 | 17 | 1 | 14 | 56:51 | 52 |
| ლაუტერნი | 32 | 15 | 5 | 12 | 48:51 | 50 |
| ფრაიბურგი | 32 | 13 | 10 | 9 | 47:35 | 49 |
| ვერდერი | 32 | 13 | 8 | 11 | 47:47 | 47 |
| კიოლნი | 32 | 12 | 9 | 11 | 55:46 | 45 |
| ვოლფსბურგი | 32 | 11 | 11 | 10 | 56:41 | 44 |
| მიუნხენი | 32 | 12 | 7 | 13 | 43:54 | 43 |
| ჰანზა | 32 | 12 | 6 | 14 | 34:44 | 42 |
| ჰამბურგი | 32 | 10 | 10 | 12 | 55:53 | 40 |
| შტუტგარტი | 32 | 8 | 11 | 13 | 40:47 | 35 |
| უნტერჰახინგი | 32 | 8 | 11 | 13 | 31:50 | 35 |
| კოტბუსი | 32 | 10 | 3 | 19 | 33:50 | 33 |
| აინტრახტი | 32 | 9 | 5 | 18 | 39:64 | 32 |
| ბოხუმი | 32 | 7 | 6 | 19 | 29:63 | 27 |


როკე სანტა კრუზი

„შალკე“ თუ „ბაიერნი“? — მიუნხენელთა მიერ ოთხშაბათს მადრიდის „რეალის“ ძლევის მერე, ეს კითხვა გერმანიაში ისევ აქტუალური გახდა. რამდენიმე ტურის წინ ჟურნალმა „კიკერმა“ გამოკითხვა ჩაატარა. ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონი? — ასეთი იყო კითხვა. „შალკემ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნის“ ჩემპიონობა „შალკეს“ შედეგზე ჰკიდია, ფავორიტად უმეტესობა ბავარიელებს ასახელებს.

დღეს „შალკე“ „შტუტგარტს“ ეწვევა, გუნდს, რომელიც ყოფნა-არყოფნისთვის იბრძვის. ჰოდა ბევრს ჰგონია, რომ გელზენკირხენელებს სწორედ ბოლოსწინა ტურში დაუცდებათ ფეხი.

„მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მთელი წლის ნაოფლარს ქარს გავატანთ, არავითარ შემთხვევაში, ჩემპიონი „შალკე“ გახდება“ — ებე სანდი და მისი თანაგუნდელები გადამწვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან, მაგრამ... „ყველა დაძაბულები ვართ. ეს გასაკვირი სულაც არ არის. ჩვენ ხომ გოლიათს ვებრძვით“ — აღნიშნავს კლუბის თავკაცი ჰუუბ სტევენსი. მენეჯერ რუდი ასაუერს კი რომ ჰკითხეს, ჩემპიონები თუ ვერ გახდით, რას იზამთო, უპასუხა: „თავიდან ცრემლებს გადმოვღვრით, მერე კი ისევ ბედნიერების გრძნობა დაგვეუფლება, რადგან „ბაიერნი“ წლეულს ორჯერ დავამარცხეთ, არც ის გამოგრჩეთ, რომ წინ ქვეყნის თასის ფინალიც გველის“.

„შალკე“ კი არის კბილებალესილი, მაგრამ აბა, ახლა „შტუტგარტს“ ჰკითხოს. „ეს გუნდი ძალიან მიყვარს, ჩემპიონობასაც აშკარად იმსახურებს, მაგრამ ბოდიში, შაბათს სამი ქულა ჩვენ უფრო გვჭირდება“ — განაცხადა შტუტგარტელთა თავკაცმა ფელიქს მაგათმა.

„ბაიერნი“ შინ „კაიზერსლაუტერნს“ ელის. მასპინძლებს დღეს, ალბათ, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ. ოტმარ ჰიცფელდს მათი დასვენება განუზრახავს. სამაგიეროდ, მინდორზე იქნება შტეფან ეფენბერგი, რომელმაც ოთხშაბათს დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. სავარაუდოდ, ძირითადში იქნებიან სფორცა, სანტა კრუზი და ჰარგრივსი, რომელიც „რეალთან“ მატჩის მერე უმალ ამომავალ ვარსკვლავად მოინათლა. „ბაიერნში“ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა. წინა ორშაბათს გუნდის ხელმძღვანელობამ საგანგებო თათბირი მოიწვია, რომელზეც კლუბის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა გადაწყდა. აქციების შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელმა გერმანულმა ფირმა „ადიდასმა“ რომელმაც საამსაქმოდ უკვე 150 მილიონი გერმანული მარკაც გამოყო.

„ჰერტა“ დღეს „ლევერკუზენს“ მასპინძლობს. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ამიტომ მატჩს ინტერესი და ინტრიგა არ აკლია. ბოლოდროინდელი ხმაურის შემდეგ ცოტა დაცხრა სიტუაცია „ლევერკუზენში“, სადაც ბერტი ფოგტსს მოსვენება დაუკარგეს, ეგ კი არა, იმ ზომამდე მიიყვანეს, გერმანიაში მუშაობა მომბეზრდაო, ათქმევინეს. რამდენიმე თვეა, ბერლინელებს ერთ-ერთი ლიდერი შტეფან ბაინლიხი ტრამვმირებული ჰყავთ. მკურნალობამ შედეგი კაი ხანს არ გამოიღო და ბაინლიხმაც გასულ კვირაში ფეხბურთიდან წასვლის სურვილი გამოთქვა, თუმცა ბოლო გამოკვლევის შედეგმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ბაინლიხს მომავალი სეზონიდან კვლავ შეეძლება „ჰერტას“ მაისურის მორგება — ასეთია ექიმების დიაგნოზი. მომავალ სეზონამდე კი ბერლინელებს ორი მძიმე მატჩი ელით — დღეს „ლევერკუზენთან“ და კვირის თავზე სტუმრად „კაიზერსლაუტერნთან“.

ქართველთა „ფრაიბურგს“ უეფას თასზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს. ფოლკერ ფინკეს შეგირდები „კაიზერსლაუტერნს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან და კალენდრის გათვალისწინებით ამ მცირე სხვაობის აღმოფხვრაც შეუძლიათ. „ფრაიბურგი“ დღეს უკვე მეორე ბუნდესლიგელ „ბოხუმს“ სტუმრობს, ოღონდ მხოლოდ ერთი ქართველით. წლეულს ჩვენებურებს უიღბლო სეზონი ჰქონდათ — გიორგი კიკნაძეს ტრავმის გამო ერთხელაც არ უთამაშია, ლევან ცქიტიშვილს ნახევარი სეზონი გაუცდა. იაშვილს ფეხი ადრეც აწუხებდა, ახლა კი კუნთი გაიწყვიტა და თვეზე მეტი მოუწევს მკურნალობა. ასევე ტრავმის გამო გამოტოვა რამდენიმე შეხვედრა ლევან კობიაშვილმაც, თუმცა იგი დღეს მინდორზე იქნება. გაირკვა ტუნისელი ზუბეიარ ბაიას ბედი — იგი კარიერას თურქეთში გააგრძელებს.

არჩილ არველაძის „კიოლნი“ „ვერდერს“ მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში ადგილსაც გაუცვლის, თუმცა ეს ევალდ ლინენის გუნდს ვერ აზეირებს, რადგან უეფას თასზე გამსვლელ მეექვსე ადგილს კიოლნელებს ხუთი ქულა აშორებთ, ინტერტოტოზე კი ისედაც შეუძლიათ თამაში.

ცხრილის ქვედა ნაწილში კი ძალიან ცხელა. ლიგაში დარჩენის შანსი „შტუტგარტს“, „უნტერჰახინგს“, „კოტბუსსა“ და „აინტრახტს“ აქვთ, არადა აქედან ორი უნდა გავარდეს.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# ბარსელონა — მადრიდი: უძრავ-მოძრავი ქონება

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| დეპორტივო | — | ალავესი |
| **დღეს** | | |
| ვილიარეალი | — | სოსიედადი |
| **ხვალ** | | |
| მალაგა | — | ვალენსია |
| ბილბაო | — | ვალიადოლიდი |
| რასინგი | — | ოვიედო |
| ბარსელონა | — | რაიო ვალეკანო |
| რეალი | — | ესპანიოლი |
| მალიორკა | — | სელტა |
| ნუმანსია | — | ოსასუნა |
| ლას პალმასი | — | სარაგოსა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 33 | 21 | 6 | 6 | 70:36 | 69 |
| დეპორტივო | 33 | 18 | 7 | 8 | 62:39 | 61 |
| ვალენსია | 33 | 17 | 8 | 8 | 51:26 | 59 |
| მალიორკა | 33 | 15 | 11 | 7 | 46:39 | 56 |
| ბარსელონა | 33 | 14 | 11 | 8 | 69:51 | 53 |
| სელტა | 33 | 14 | 9 | 10 | 47:45 | 51 |
| ვილიარეალი | 33 | 14 | 8 | 11 | 51:48 | 50 |
| ალავესი | 33 | 14 | 7 | 12 | 54:45 | 49 |
| მალაგა | 33 | 13 | 8 | 12 | 52:51 | 47 |
| ესპანიოლი | 33 | 13 | 7 | 13 | 40:33 | 46 |
| ბილბაო | 33 | 11 | 9 | 13 | 41:49 | 42 |
| რაიო ვალეკანო | 33 | 9 | 13 | 11 | 53:56 | 40 |
| სარაგოსა | 33 | 9 | 12 | 12 | 51:52 | 39 |
| ლას პალმასი | 33 | 11 | 6 | 16 | 34:54 | 39 |
| ოვიედო | 33 | 10 | 7 | 16 | 45:57 | 37 |
| ვალიადოლიდი | 33 | 8 | 12 | 13 | 35:43 | 36 |
| ოსასუნა | 33 | 8 | 11 | 14 | 38:48 | 35 |
| სოსიედადი | 33 | 8 | 9 | 16 | 41:64 | 33 |
| რასინგი | 33 | 8 | 7 | 18 | 40:58 | 31 |
| ნუმანსია | 33 | 7 | 8 | 18 | 33:59 | 29 |

**მეცხრე** ჩემპიონთა თასამდე მადრიდის „რეალს“ სულ ცოტა ერთი წელი მოუწევს ლოდინი და იქამდე ესპანეთის ჩემპიონის ტიტულით უნდა დაკმაყოფილდეს. პრიმერადივიზიონის ოცდამერვედ მოგებამდე კი დედაქალაქელებს არცთუ ბევრი ქულა აშორებთ.

მარტივი ანგარიშია: დარჩენილ ხუთ ტურში „რეალს“ სამი გამარჯვებაც ჰყოფნის და ისიც იმ პირობით, რომ უახლოესი მდევარი „დეპორტივო“ ხუთივე თამაშს მოიგებს.

ახლა, ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, ლაკორუნიელებს 34-ე ტურის მატჩი უკვე ჩატარებული აქვთ. მიზეზი გასაგებია — მეტოქეს ოთხშაბათს უეფას თასის ფინალი ელის და უკეთ მოსამზადებლად ერთი დღის მოგება სურს. თუმცა „დეპორტივო“ — „ალავესზე“ სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ, რაკი ჩატარებულ თამაშზე მაჩტისწინა ამბების წერა უხერხულია და ისევ „რეალს“ მივუბრუნდეთ.

მოკლედ, შევთანხმდით, რომ „რეალს“ მაქსიმუმ სამი თამაშის მოგება სჭირდება. თუ მის დარჩენილ მეტოქეებსაც გადავხედავთ, მათგან ერთიც არაა ისეთი, „სამეფო კლუბს“ რაიმე განსაკუთრებული პრობლემა რომ შეუქმნას — „ესპანიოლი“, რომლისთვისაც მოგებას და წაგებას აწ უკვე ერთი ფასი აქვს, „რაიო ვალეკანო“, რომლის საქმეც ზუსტად ასევეა, „ოვიედო“ და „ვალიადოლიდი“, რომლებიც გასავარდნთა კანდიდატობიდან ჯერ არ ამოწერილან და „ალავესი“, ვის მიზანზეც უკვე ვთქვით.

„ლიგის მოგებას ვერ შევწვდით და ესპანეთის ჩემპიონობას რაც უფრო მალე გავინაღდებთ, მით უფრო მეტი დრო დაგვრჩება დასასვენებლად“ — თქვა ივან ელგერამ და მართალიცაა, მისმა გუნდმა სეზონისადმი ინტერესი, ფაქტობრივად, უკვე დაკარგა.

კატალონიელებთან შეხვედრაში მადრიდელებს გუტი არ ეყოლებათ, რომელიც „ბაიერნთან“ მსუბუქად დაშავდა და მას ფერნანდო მორიენტესი შეცვლის. ვერ ითამაშებს რობერტო კარლოსიც, რადგან წინა ტურში „სელტასთან“ წითელი ბარათი მიიღო.

გაისად უეფას თასზე თამაში „ესპანიოლისთვის“ პრაქტიკულად აუხდენელი ოცნებაა. აბა, ვინ უნდა ამოაგდოს „მალიორკა“, „ბარსელონა“ თუ „სელტა“? და მიუხედავად ამისა, „ესპანიოლს“ სასტარტო შემადგენლობაში, ალბათ, მაინც ეყოლება რაულ ტამუდო, რომელმაც ამ კვირაში ვარჯიშისას ზურგი იტკინა.

სანსებასტიანელებს პრიმერადივიზიონში დასარჩენად გმირობის ჩადენა სჭირდებათ, რაკი მეტად უხერხული მეტოქეები დარჩათ. მათ შორისაა „ვილიარეალი“ — უეფას თასზე მოსახვედრად მებრძოლი გუნდი. „სოსიედადს“ კი გმირობის ჩამდენი აღარავინ დარჩა, რადგან ედგერას იანკაუსკასი, ლუის ალბერტო და მიგელ ფუენტესი დისკვალიფიცირებულნი არიან.

„ვალიადოლიდი“ იმ გუნდად რჩება, გასვლაზე ერთხელაც რომ არ მოუგია, ხოლო ბილბაოელები შინ საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობენ. ამასთანავე, ბასკებს ქომაგთა გულის მოგებაც მართებთ — წინა უქმეებზე ოვიედოში 0:5 მარცხი არავის დავიწყებია.

ბარსელონელთა ერთი გუნდი თუ მადრიდში ჩადის, მეორე მადრიდელებს მასპინძლობს. და ისევ კითხვა, რომელსაც რა ხანია, ვიმეორებთ — როდემდე ვერ უნდა მოიგოს „ბარსელონამ“? შვიდი მოუგებელი თამაში ზედიზედ ძალიან ბევრია და წინა ტურში „მალიორკას“ რომ ეყოჩაღა, კატალონიელებს თავში საცემად გაუხდებოდათ საქმე. „ბარსა“ ნავსის გატეხას „რაიო ვალეკანოსთან“ ეცდება, რომელსაც ტრავმირებული თავდამსხმელი მიჩელი დაუბრუნდა.

დიდი ბრძოლა გაჩაღდება პალმა დელ მალიორკაში. გათამაშების ცხრილს ჩახედეთ და მიზეზის ახსნა საჭირო აღარ იქნება. „მალიორკასა“ და „სელტას“ შემადგენლობაში ყველაფერი რიგზეა, წინა უქმეებზე ვიგოელი ჯოვანელას გაძევებას თუ არ ჩავთვლით.

ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი „ვალენსია“, ჩინებულ ხასიათზე მყოფი და ესპანეთის ვიცე-ჩემპიონობაზე მეოცნებე, მალაგაში ითამაშებს. აქ ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი. ვალენსიელებს წინასწარვე ეცოდინებათ „დეპორტივოს“ მონაგარი და თუ ლაკორუნიელებმა წაიფორხილეს, მეორე ადგილზე გადანაცვლებას აღარაფერი დაუდგება წინ, ცხადია, „მალაგას“ გარდა, რომელსაც უეფას თასზე თუ არა, ინტერტოტოზე გასვლის იმედი არ დაუკარგავს.

ტურის ყველაზე უინტერესო მატჩად „ლას პალმასი“ — „სარაგოსა“ უნდა მივიჩნიოთ. ამჟამად თანაბარქულებიან გუნდებს გამარჯვება ბევრს ვერაფერს შემატებს. კანარელთა შორის დასაბრუნებლად ემზადებიან აქამდე ტრავმირებულები ხოსე მორენო ხოსიკო და გაბრიელ შურერი. ყოველ შემთხვევაში, ისინი მთელი კვირა ვარჯიშობდნენ. სარაგოსელებს კი ხოსე იგნასიო დააკლდებათ, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

დარჩენილ ორი წყვილში აუტსაიდერები თამაშობენ — „ოსასუნა“ სორიაში, ხოლო „ოვიედო“ სანტანდერში.

„ნუმანსიას“ მწვრთნელობის მოვალეობის შემსრულებელი სელესტინო ვალეხო, რომელმაც მარიანო გარსია რემონი შუა კვირაში შეცვალა (რემონი, თავის მხრივ, ფრანსისკო ერერა ლორენსოს ნაცვლად მუშაობდა), კარის დარაჯად ურუგვაელი ალვარო ნუნიესის დაბრუნებას აპირებს და ასე სურს, „ოსასუნას“ გაუმკლავდეს. ეს ის „ოსასუნაა“, წინა ტურებში „ბარსელონას“, „რეალსა“ და „მალიორკას“ ქულები რომ დააკარგვინა და მაინც სახიფათო ზონაშია.


„რეალს“ ხვალ ვერც ტრავმირებული გუტი და ვერც დისკვალიფიცირებული რობერტო კარლოსი დაეხმარებიან

# ვისია, ვისია, ბიჭი მაგარი?



*მაგარია და თანაც ძალიან სწრაფი ეს ჩვენი მაიკლ ოუენი, მაგრამ საკუთარი პასით გოლის გატანამდე ჯერ ბევრი უკლია. და მაინც, ინგლისელებს ეიმედებათ, რომ არცთუ შორეულ მომავალში ოუენი სწორედ ოუენის პასით დალაშქრავს მეტოქის კარს. ეს დაახლოებით ასე წარმოუდგენიათ — ოუენი კუთხურს ჩააწვდის და ოუენი საჯარიმოში მყოფთაგან ყველას დაასწრებს...*

**ხომ არ დაგაბნიეთ?** თუ ასეა, დიდად ნუ შეწუხდებით — ოთხშაბათ საღამოს თქვენს დღეში ლამის მთელი ქართული ტელეაუდიტორია გახლდათ თავის კომენტატორიანად. სიცხადე ამ საქმეს ვერც შემდგომ ორ დღეში პრესაში ჩატარებულმა „გამოძიებამ" მოჰფინა.

„ჩვენს გამარჯვებაში მან დიდი, ძალიან დიდი წვლილი დაიდო. ის უნიჭიერესი ბიჭია" — თქვა „ბაიერნისა" და „რეალის" საპასუხო მატჩის შემდეგ მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა;

„გადასარევად ითამაშა, მაგრამ არ გავუოცებივარ, რადგანაც მისი შესაძლებლობები მშვენივრად ვიცი" — ეს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტის კარლ-ჰაინც რუმენიგეს სიტყვებია;

„დაუჯერებელია, მაგრამ 20 წლის ბიჭმა ეგ თქვენი „რეალი" არაფრად ჩააგდო" — ქების სიტყვების თქმა არც კლუბის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს დაზარებია;

„უაღრესად ნიჭიერია და შუა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში თამაში შეუძლია, მაგრამ რაც „რეალთან" გააკეთა, ეს ჩემთვისაც აღმოჩენა იყო" — გერმანელებს მხარი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ჰოვარდ უილკინსონმაც აუბა.

ვიზეა საუბარი? ვინც ამ მატჩს უყურა, მისთვის ეს 20-ლარიანი კითხვაა და ყელში ამოსული „დარწმუნებული ხართ?" არ სჭირდება — ცხადია, „ბაიერნის" 20 წლის ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსზე. ის ორი გიგანტის ჭიდილში მართლაც საუკეთესო იყო.

...მშვენივრად მივდივართ, არა? დაგვრჩა ბოლო კითხვა და სამივე დახმარება. მაშ ასე, 20-ათასიანი კითხვა: რა ეროვნებისაა მამით ინგლისელი, დედით უელსელი, კანადაში დაბადებული და აგერ უკვე 5 წელი გერმანიაში მოთამაშე ოუენ ჰარგრივსი?

არ იცით? შეგახსენებთ, რომ სამი დახმარება დაგვრჩა... კი, ბატონო, ვიმსჯელოთ... ჰო, „ბაიერნში" რომ თამაშობს, არაფერს ნიშნავს — არც კუფურია გერმანელი, არც სანიოლი, არც ანდერსონი, არც სფორცა, არც ლიზარაზუ, არც სანტა კრუზი, არც სალიჰამიჯიჩი, არც ელბერი, არც ჰარგრივსი... უი, წამომცდა. კომპიუტერი გამოვიყენოთ? აგერ, ჯიგარი: გერმანია წაშალა და კანადა — ეგეც აზრზეა, რომ დაბადების ადგილს დიდი მნიშვნელობა სულაც არ აქვს. რა, კალგარის ცოტა ზემოთ რომ გაეჩინა დედამისს, პინგვინი იქნებოდა? ჰა-ჰა-ჰა, თუმცა თამაშს დავუბრუნდეთ. რაა? არა, გენაცვალე, ჩვენი კომპიუტერი მარტო შლის, თორემ ინტერნეტში თუ შეგიშვით, ნახავ უცებ თუნდაც უეფას სერვერს და წაიკითხავ. მოკლედ, ზარილა დაგვრჩა ახლობელთან, მაგრამ სამი დღეა, მცოდნე ხალხს ვერ გაურკვევია და... მოდით, კიდევ ვიმსჯელოთ... ხმა ამოიღეთ, თორემ დაეძინა ხალხს... კარგით, დაგეხმარებით — რაზან მამა ინგლისელია, დიდი შანსია, ეგეც... თუმცა რაიანიც ეგრე იყო, გიგზად რომ ვიცნობთ: მამამისი ინგლისელი უილსონია, დედა კი უელსელი გოგო, მაგრამ მამა ცუდი კაცი იყო, დედას აბრაზებდა და „მანჩესტერში" რაიან უოლსონად მისულმა ბიჭმა მალე გვარი გადაიკეთა და უელსის ნაკრებში დურთა თავი. ეჰ, რა შანსი დაკარგა... მოიცათ, გადავუხვიე და მგონი სულ დაგაბნიეთ. გაიგეთ რამე? გინდათ, მეგობარს დავურეკოთ? მწვრთნელია ერთი და ეგ ჰარგრივსი ნაღდად ნანახი ჰყავს. არ ეხსომება? ისე, ეგეც მართალია, თანაც ტელეფონის ნომერიც არ ვიცით. მოკლედ, წაიღეთ თანხა, ეს ინტერნეტ-საშვიც და თუ არ დაიზარებთ, ორიოდ წუთში შეიტყობთ სასურველ პასუხს...

ჩვენ კი გავამწვანოთ — ოუენ ჰარგრივსი ინგლისელია და მისი დებიუტი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში 2000 წლის 31 აგვისტოს შედგა. გახსოვთ, ჩვენმა ახალგაზრდებმა კოულ-კოულით 1:6 რომ წააგეს? სწორედ ამ მატჩის 63-ე წუთზე იხილა მიდლსბროელმა მაყურებელმა თეთრ მაისურში გამოწყობილი ჰარგრივსი. მას მერე მან კიდევ ორჯერ ითამაშა უილკინსონის გუნდში — იტალიასთან და ესპანეთთან, თუმცა სამივე ეს შეხვედრა ამხანაგური გახლდათ და ფიფას წეს-კანონების შესაბამისად, 20 წლის ბიჭს კიდევ შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება. „ხშირად ვესაუბრები და ყოველთვის იმას მეუბნება, ინგლისელი ვარ და სხვაგან რატომ უნდა ვითამაშოო" — დაიმედებულია ჰოვარდ უილკინსონი, ვინც ოთხშაბათის მატჩის გმირი 5 ივნისს, ბერძენ თანატოლებთან შესარჩევი შეხვედრისთვისაც გამოიძახა. „ჩვენ მას გერმანიასთანაც და ფინეთთანაც ვუხმეთ, თუმცა ტრავმირებული იყო" — ამბობს ინგლისელ 21-წლამდელთა თავკაცი.

ცოტა ხნით ადრე ოუენ ჰარგრივსმა უარყო უელსის ეროვნული გუნდის მწვრთნელის მარკ ჰიუზის წინადადება, დედულეთის ღირსება დაიცავიო. მოკლედ, ოუენ-ოუენის წმინდა ინგლისური კომბინაცია არარეალური სულაც არ ჩანს.

მანამდე კი „სან სიროა".

**გიგა ძოგახიძე**

# კარუსელი არ დატრიალდა

## მანე ალავესს, კუპერი ვალენსიას, ბარსელონას ვინდა?

**„ალავესის"** პრეზიდენტმა გონსალო ანტონმა ვიტორიელ ფანობას ახარა, მანე დავიყოლიეთ და კიდევ ერთი სეზონი დარჩება ჩვენთანო.

მანემ, იგივე ხოსე მანუელ ესნალ პარდომ, ამ ოთხი წლის წინ ჩაიბარა ბასკური კლუბი და პირველივე სეზონის ბოლოს პრიმერადივიზიონში გადაიყვანა. ახლა კიდევ უეფას თასის ფინალი — „ალავესის" ისტორიაში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა.

აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ ვიტორიელებს მანეს გაშვება აზრად არ მოსვლიათ და ახალი კონტრაქტით დააბეს. კონტრაქტის პირობები ჩინებული, ანტონმა თქვა, ასეთი ხელფასი „ალავესის" არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონიაო. ვითომ რომ არ ეთქვა, ჩვენ ვერ მივხვდებოდით — არსებობის უმეტესი წილი „ალავესმა" მესამე და მეოთხე დივიზიონებში გაატარა და მწვრთნელებს რა ხელფასი უნდა ჰქონოდათ.

ხოსე მანუელ ესნალ პარდოს „ალავესში" დარჩენამ ბევრს გაუჩინა თავსატეხი. გავიხსენოთ, რომ ლორენს სერა ფერერის გაშვების შემდეგ „ბარსელონამ" ექტორ რაულ კუპერს დაადგა თვალი და რაკი ამ უკანასკნელს „ვალენსიაში" ჰქონდა სეზონი დასამთავრებელი, კარლოს რექსაჩი ოდენ მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა.

ამ ამბავმა „ვალენსია" შეაშფოთა და რაკი კუპერიც არ ჩქარობდა კონტრაქტის გაგრძელებას, სასწრაფოდ ახალი მწვრთნელის ძებნას შეუდგა. ვალენსიელებმა საუკეთესო ვარიანტად ალავესელი მიიჩნიეს და შეეხმიანენ, კუპერზე ნაკლებად არც მანეს ეხერხება გუნდების ევროფინალებში გაყვანაო.

ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა და ამ დროს გონსალო ანტონმა, მანე ჩვენთან რჩებაო.

თუ მანე „ალავესს" და კუპერი „ბარსელონას", მაშინ „ვალენსიას" ვინდა? ამ კითხვით მიადგნენ ჟურნალისტები კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ხაიმე ორტის. ამან კი უპასუხა, ექტორ კუპერიო. გამოდის, რომ „ვალენსიამ" ბოლო ძალა მოიკრიფა (ალბათ, ფულიც) და არგენტინელისთვის ისეთი პირობების შეთავაზებას აპირებს, „ბარსელონა" დაავიწყოს.

„კუპერთან მცირეოდენი უთანხმოება გვქონდა, რაც წარსულს ჩაბარდა. ახლა შერიგების დროა და ახალ კონტრაქტზეც შეგვიძლია ვიფიქროთ" — თქვა ორტიმ.

შესაძლოა, უთანხმოებაში ის იგულისხმება, მთელი სეზონი ქომაგები კუპერს „ანტიფეხბურთის" თამაშში რომ ადანაშაულებდნენ და კლუბის ხელმძღვანელობაც ეთანხმებოდა. „ლიდსთან" თამაშმა ყველაფერი შეცვალა და „მესტალიაზე" უკვე ერთხმად გაჰყვიროდნენ: „კუპერი, კუპერი".

მაგრამ კუპერი თუ „ვალენსიაში" დარჩა, „ბარსელონას" ვინდა?

**გიორგი დარჯანია**

### მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატის წილისყრა

**ტრინიდადი და ტობაგო**

**13-30 სექტემბერი**

A ჯგუფი: ტრინიდადი და ტობაგო, ბრაზილია, ხორვატია, ავსტრალია
B ჯგუფი: ნიგერია, იაპონია, საფრანგეთი, აშშ
C ჯგუფი: ესპანეთი, ომანი, არგენტინა, ბურკინა ფასო
D ჯგუფი: მალი, პარაგვაი, ირანი, კოსტა რიკა

### ბოსნია

**თასის 1/2 ფინალი. I მატჩები**

შიროკი ბრიეგი — ჟელეზნიჩარი 0:1; პოსუსიე — სარაევო 1:0

*საპასუხო მატჩები გაიმართება 16 მაისს*

### ბელარუსი

**თასის 1/2 ფინალი. I მატჩები**

დინამო (მინსკი) — სლავია (მოზირი) 0:1; ბელშინა (ბობრუისკი) — ვედრიჩი-97 (რეჩიცა) 0:0

*საპასუხო მატჩები გაიმართება 18 მაისს*

### რუსეთი

**თასის 1/2 ფინალის წილისყრა**

ანჟი (მახაჩყალა) — კრილია სოვეტოვი (სამარა); სოკოლი (სარატოვი) — ლოკომოტივი (მოსკოვი)

*მატჩები გაიმართება 19 მაისს*

### შვედეთი

**თასის 1/2 ფინალი**

**მალმიო 0:2 აიკ**

0:1, 0:2 ანდრეას ანდერსონი (25, 51)

### დანია

**თასის 1/2 ფინალი**

**საპასუხო მატჩები**

**სილკებორგი 3:0 მიდტიულანდი (1:1)**

1:0 პედერსენი (39), 2:0 როელი (45), 3:0 პედერსენი (60)

**ვიბორგი 0:0 აკადემისკი (0:1)**

ფინალში 24 მაისს, კოპენჰაგენის „პარკენზე" „სილკებორგი" და „აკადემისკი" შეხვდებიან

### Copa Toyota Libertadores '2001

**ლიბერტადორესის თასი 2001**

**1/8 ფინალი. I მატჩები**

**ხუნიორ ბარანკილია (კოლუმბია) 2:3 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

0:1 დელგადო (7), 1:1 არიაგო (29), 2:1 სამბრანო (39), 2:2 რიკელმე (66), 2:3 დელგადო (82)

ხუნიორ ბარანკილია: ჩიკილო, პალასიო, მელანო (ასპრილია 55), აგილარი, ჟ. პერესი, ხ. რამირესი, ამაია (არიაგო 24), როხანო (რესტრეპო 64), მარკინიო, სამბრანო, ძულეტა

ბოკა ხუნიორსი: ო. კორდობა, იბარა, ბერმუდესი, მატელანი, კ. როდრიგესი, სერნა, პინტო (ბურდისო 90), ტრავერსო, რიკელმე, დელგადო, ბაროს შელოტო (გაიტანი 89; პერედა 90)

55 000 მაყურებელი

**სერო პორტენიო (პარაგვაი) 2:1 კრუზ ასული (მექსიკა)**

0:1 ალმაგერი (10), 1:1 ფერეირა (42), 2:1 კაბალიერო (86)

სერო პორტენიო: ბობადილა, ესპინოლა, ზელაია, ხ. კასერესი, ტოლედო, ვ. ფერეირა, გარაი (პიროიამა 77), პედრინიო, ალვარენგა, ს. რამირესი, ხ. კამპოსი (მ. კაბალიერო 77)

კრუზ ასული: ო. პერესი, ო. როდრიგესი, ალმაგერი, ბრაუნი, გუტიერესი, ერნანდესი, გალდამესი, პინეირო, მორალესი (ტ. კამპოსი 74), პალენსია, ხ. კარდოზო

15 000 მაყურებელი

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა



მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ/ 50 თეთრი)

# პატარა ენენი დიდია

ბერლინი
გერმანიის ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 1,2 მილიონი $

ჟიუსტინ ენენი ვინუს უილიამსზე 20 სანტიმეტრით დაბალი და 20 კილოგრამით მსუბუქია, თუმცა გერმანიის პირველობის მერვედფინალისთვის რომ გეცქირათ, სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ.

დაკუნთული და აყლაყუდა შავკანიანი ამერიკელი უსუსურად გამოიყურებოდა 18 წლის ჩია ბელგიელის ყუმბარისებური დარტყმების წინააღმდეგ, ბურთის ბადის მეორე მხარეს გადაგდებას ძლივს ასწრებდა, რომ უკან მეყსეულად კიდევ უფრო დიდი ძალითა და სისწრაფით დაბრუნებოდა.

როგორ აჯერებს თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის სტანდარტებით ასე პატარა ენენი ასე მძლავრად თამაშს, ალბათ, ბოლომდე გამოცანად დარჩება. ყოველ შემთხვევაში, თავად უილიამსი გათამაშებებს შორის ხშირად გახედავდა ხოლმე იმაში დასარწმუნებლად, რომ კორტის მეორე კიდეში ნამდვილად იმ პარამეტრების ადამიანი იდგა, ვისთან ერთადაც რამდენიმე წუთით ადრე გასახდელიდან გამოვიდა.

„ის რომ მუდამ ასე თამაშობდეს, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. ოღონდ ასეთი სტაბილურობის მიღწევა ძალიან ძნელია" — აღნიშნა მოგვიანებით უილიამსმა.

1:1-დან პირველ ხელში ქერა ბელგიელმა ზედიზედ 5 გეიმი მოიგო და გზად ისე მაღალი დონის ჩოგბურთი უჩვენა, ბერლინელებს იშვიათად რომ უნახავთ. განსაკუთრებით ორი მომენტის გამოყოფა შეიძლება. პირველში უილიამსის ტყვიასავით მოწოდებას ენენმა ცალხელა ბექჰენდით ისე უპასუხა, მეტოქემ, ალბათ, თვალის გაყოლებაც ვერ მოასწრო. მეორედ, ერთი შეხედვით აუღებელ შემოკლებულს მან მიუსწრო კი არა, ისეთი მახვილი კუთხით მიუჩინა ადგილი ბადის მეორე მხარეს, ვინუსს ორანგუტანივით გრძელმა ზედა კიდურებმაც ვერ უშველა.

მეორე ხელში შედარებით თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა აშკარად ჩანდა, უილიამსი დამფრთხალი იყო. ბრწყინვალე მიღებების წყალობით ენენმა ზედიზედ სამჯერ აართვა მეტოქეს მოწოდება და მეოთხე მატჩ-პოინტზე ნატიფი შემოკლებულით დაუსვა შეხვედრას წერტილი — 6:1 6:4. თუ ვინმე მისგან სიხარულისგან ზევით-ქვევით ხტომას მოელოდა, მწარედ მოტყუვდა: ბელგიელმა ვინუსს ხელი ჩამოართვა და მერე ხელის ზევით აწევითღა მიესალმა მაყურებლებს.

„ადრე ელიტის წარმომადგენლებს მეტისმეტი მოწიწებით ვუყურებდი, მაგრამ ახლა საკუთარი ძალების მწამს და ვიცი, კორტზე ნებისმიერის დამარცხება ძალმიძს. საუკეთესოთა ოცეულში უკვე შევაღწიე, კიდევ უფრო წინაც შემიძლია წაწევა" — განაცხადა ენენმა, რომელმაც სეზონი ავსტრალიაში ზედიზედ ორი ტიტულის მოპოვებით დაიწყო.

რაც შეეხება ვინუსს, ამ მარცხმა მის იმედებს, როლან გაროსზე კლასიფიკაციაში მარტინა ჰინგისისთვის გაადასწრო, თითქმის ხაზი გადაუსვა: „ვნახოთ, იქნებ პარიზში საკმაო ქულები მაინც დავაგროვო. თიხნარზე ამ ორ კვირაში საკმარისად გავივარჯიშე, ახლა შინ, აშშ-ში დავბრუნდები და საფრანგეთის ღია პირველობას სრულ მზადყოფნაში შევხვდები".

უილიამსის გზიდან ჩამოშორების შემდეგ ჰინგისის მთავარ კონკურენტად გერმანიის დედაქალაქში ჯენიფერ კაპრიატი დარჩა. მესამედ განთესილ ამერიკელს ფრანგი სანდრინ ტესტიუს წინააღმდეგ საკმაო ოფლის ღვრა და სეტ-პოინტის გადარჩენაც მოუხდა, თუმცა საბოლოოდ 6:2, 7:6 (8:6) იმარჯვა.

„კარგია, რომ პირველ მატჩებში ასე გამიჭირდა, მნიშვნელოვანი ორთაბრძოლებისთვის უკეთ ვიქნები მზად — მედლის მეორე მხარე დაინახა კაპრიატიმ — ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ასე ძლიერი არასოდეს ვყოფილვარ, არ გაგიკვირდეთ, თუ წლეულს კიდევ ერთი დიდი სლემის ტურნირი მოვიგე, იქნებ პირველ ჩოგნობასაც გამოვკრა ხელი".

**მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 6:1; ამელი მორესმო (4 საფრანგეთის — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:1, 4:6, 6:0; ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) — მეგან შონესი (აშშ) 6:3, 7:6 (7:1); კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:0, არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთის) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:3, 1:6, 6:3.**

მასტერსის სერია
რომი (იტალია)
თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

თავსხმა წვიმის გამო ხუთშაბათს „ფორო იტალიკოზე" სამი მერვედფინალური მატჩის დასრულება ვერ მოხერხდა. ყველაზე შეუფერებელ მომენტზე გაწყდა ამათგან ყველაზე საინტერესო შეხვედრაც ალექს კორეჩასა (10) და ლეიტონ ჰიუიტს (7) შორის — ესპანელი 7:6 (7:2), 4:3 იყო წინ.

შეგახსენებთ, რომ შარშან დეკემბერში კორეჩამ ჰიუიტის ქცევას კორტზე უცნაური და ანომალიური უწოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ავსტრალიელმა დევისის თასის ფინალში მასპინძელს სალამი არ დაუბრუნა.

გუშინ მატჩის განახლებისთანავე ოზმა მეტოქეს მოწოდება აართვა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ესპანელის სასიკვდილო დარტყმასაც არ დაუგვიანებია — ზედიზედ ორი გეიმი და 7:6 (7:2), 6:4

**მერვედფინალი: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ფრანკო სკილარი (15, არგენტინა) 6:1, 6:2; ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) 6:2, 6:4; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:6 (7:4), 6:2; ჰარელ ლევი (ისრაელი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:2, 6:4; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 2:6, 7:6 (7:4)**

**ავთო სვანიძე**



# F1

მეექვსე ეტაპი **ავსტრიის დიდი პრიზი**

## A-1 რინგი

*შპილბერგი, 13 მაისი*



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . **4.326 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . **71 წრე — 307.146 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 ვილნევი (BAR); 5 ბატონი (უილიამსი); 6 სალო (ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2000 — კულჰარდი (მაკლარენი) 1:11.783

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1964 | ლორენცო ბანდინი | იტალია | ფერარი |
| 1970 | ჟაკი იქსი | ბელგია | ფერარი |
| 1971 | ჯო სიფერი | შვეიცარია | BRM |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1973 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1974 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | ბრებემი |
| 1975 | ვიტორიო ბრამბილა | იტალია | მარჩი |
| 1976 | ჯონ უოტსონი | დიდი ბრიტანეთი | პენსკე |
| 1977 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | შედოუ |
| 1978 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1979 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | უილიამსი |
| 1980 | ჟან პიერ ჟაბუი | საფრანგეთი | რენო |
| 1981 | ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | ლიჟიე |
| 1982 | ელიო დე ანჯელისი | იტალია | ლოტუსი |
| 1983 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | რენო |
| 1984 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | მაკლარენი |
| 1985 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1986 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1987 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1997 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1998 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 1999 | ედი ირვინი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 2000 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |

# შუმახერს ავსტრიული სუფრა მოსწონს

**ავსტრიის** დიდი პრიზის გათამაშება ფორმულის კალენდარში მყარად 1997 წლის შემდეგ ჩაჯდა. განახლებულ „ოსტერრაიხრინგზე", ახლა „A-1" რომ ჰქვია, ჩემპიონები ყოველ წელს იცვლებოდნენ. საერთოდ კი ავსტრიაში ზედიზედ ორჯერ გამარჯვება ერთადერთმა ალენ პროსტმა შეძლო.

სახვალიო შეჯიბრი ორიოდე რბოლის წინ რომ გამართულიყო, ფავორიტების ჩამოთვლა შორს არ წაგვიყვანდა — რომ იტყვიან, ერთი-ორი და მორჩა. მიხაელ შუმახერი და დევიდ კულჰარდი გვყავს მხედველობაში. მიკა? ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი, წლეულს პირველად, ტიტულის მაძიებელთა შორის არ მოიხსენიება. მიზეზი, ცხადია, მისი სუსტი სტარტია. მართლაც, ხუთ რბოლაში მხოლოდ ოთხი ქულა სახელოვანი ფინელისთვის სამარცხვინო შედეგია. მაგრამ, როგორც ორი კვირის წინანდელმა ესპანურმა ეტაპმა გვიჩვენა, მიკას ჩამოწერა ნაადრევი ყოფილა. მან მთელი რბოლა ჩინებულად წარმართა და პრაქტიკულად მოგებულიც ჰქონდა, ბოლო წრეზე, ფინიშამდე სულ რაღაც ერთი კილომეტრით ადრე ძრავას რომ არ ემტყუნა.

ამით კი იმის თქმა გვინდა, რომ ხვალ ჰაკინენის მორიგ გაელვებას უნდა ველოდოთ, ისევე როგორც კულჰარდისგან ან სერ ფრენკ უილიამსის ბიჭებისგან. დევიდი მიმდინარე სეზონისა და ავსტრიის დიდი პრიზის ყველაზე სტაბილური პილოტია — წლეულს ხუთივე ეტაპი ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა, შპილბერგში კი ოთხჯერვე პოდიუმის მეორე საფეხურზე იდგა. 30 წლის შოტლანდიელი ამჟამად ძალიან ძლიერია, ისე, როგორც არასდროს. მას არასარბოლო პრობლემები აღარ აწუხებს. „დისი", ასე ეძახიან კულჰარდს მისი ინიციალების გათვალისწინებით, ცოტა ხნის წინ დაშორდა მეგობარ ქალს, სუპერმოდელ ჰეიდი ვიჩლინსკის, ვისთანაც შარშან ქორწინებასაც კი აპირებდა, ხოლო მის ცხოვრებაში მეორე მნიშვნელოვანი სიახლე ის გახლავთ, რომ მონტე კარლოში საკუთარი ფეშენებელური სასტუმრო „კოლუმბუსი" გახსნა, სადაც, თავისივე თქმით, დასვენებისა და განტვირთვის შესანიშნავი პირობები აქვს. ხანდახან ბარსაც ესტუმრება ხოლმე და არც ერთ-ორ ჭიქაზე ამბობს უარს. რაც შეეხება საჩემპიონო ამბიციებს, დევიდი თვლის, რომ ან წლეულს, ან არასდროს.

წინა რბოლაში პირველი ქულები მოიპოვეს დებიუტანტმა ხუან პაბლო მონტოიამ და ექსჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა. ბარსელონაში ნაშოვნი ოთხი ქულით ჟაკი ორასიანელთა კლუბში ჩაეწერა, სადაც მანამდე 25 წევრი იყო. რალფ შუმახერს კი შანსი აქვს, ხვალ ასქულიანი ზღვარი დაძლიოს, საამისოდ ფინიშთან მეხუთედ მისვლაც იკმარებს.

ავსტრიული ეტაპი ტრადიციულად ივლისში ეწყობოდა. მაისში გადმოტანის უმთავრესი მიზეზი გახდა კოკისპირული წვიმები, რაც ასე ხშირია შტირიის მთიან მხარეში, სადაც ავტოდრომი მდებარეობს. თუმცა, სინოპტიკოსების ვარაუდით, ხვალაც წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი. უმთავრეს „წვიმის კაცად" კი მიხაელ შუმახერი ითვლება, ვისთვისაც შპილბერგი დღემდე დაუძლეველ ტრასად რჩება. მის ანგარიშზე ერთადერთი მესამე ადგილი და მხოლოდ ხუთი ქულაა, რაც მეექვსე მაჩვენებელია ჰაკინენის (24), კულჰარდის (24), ვილნევის (14), ედი ირვინისა (13) და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის (7) შემდეგ. ასეთი უხეირო შედეგის მიუხედავად, შუმის მაინც სიამოვნებას ანიჭებს აღმართდაღმართიან წრეზე ჯირითიც და სანაქებო ავსტრიული სამზარეულოც.

მიხაელისთვის არც გუშინდელ ვარჯიშებს მოუტანია წარმატება: პირველი სესია, ანუ „მოთელვა" ჰაკინენმა მოიგო, ხოლო დღის საუკეთესო დრო კულჰარდისა იყო.



**NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)**

# ჰაშეკი შეღარ მოსვამს

10 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| **ბუფალო** | **3** |
| **პიტსბურგი** | **4** |

**ბუფალო 2:3 პიტსბურგი (0:0 1:1 1:1 0:1)**

**1:0 დიუმონი 22(4), 1:1 ფერენსი 29(3), 2:1 ჰაინცი 41(3), 2:2 ლანგი 49(3), 2:3 კასპარაიტისი 74(2)**

მომდევნო სეზონში, ალბათ, ასე იქნება — ყველა გუნდი შეეცდება, რაც შეიძლება დაბალი საპლეიოფო ადგილი დაიკავოს, რათა ფინალში მოედნის უპირატესობა არ ჰქონდეს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ფაქტი სახეზეა: მეორე რაუნდში 25 თამაშიდან 15 სტუმრებმა მოიგეს. ყველაზე თვალსაჩინო კი სწორედ ეს სერია გახლდათ, რომელშიც სტუმართა გუნდმა 7 შეხვედრიდან 5-ჯერ იმარჯვა, მათ შორის ბოლო, გადამწყვეტ მატჩშიც. რაღა გვეთქმის, იმ სამი წყვილიდან, რომელთა დაპირისპირების ბედიც სწორედ მეშვიდე თამაშში გადაწყდა, ეს მეტოქეები ყველაზე თანაბარძალოვანნი იყვნენ და ერთნაირად იმსახურებდნენ გამარჯვებას. ბუფალოს წაგება კი უფრო იმიტომაა დასანანი, რომ მისი დიადი მეკარე დომინიკ ჰაშეკი, ალბათ, ველარასოდეს მოსვამს შამპანურს სტენლის თასიდან.

ალბათ ნიშანდობლივია, რომ მეშვიდე შეხვედრა წინამორბედებზე თანაბარი იყო. ფხიზელ პირველ პერიოდს აქტიური მეორე მესამედი მოჰყვა, მით უმეტეს, რომ მის დასაწყისშივე დაწინაურდა ბუფალო: დონალდ ოდეტის დარტყმული შაიბა კარის სიახლოვეს აღმოჩნდა, სადაც ყველას ჟან-პიერ დიუმონმა დაასწრო. შვიდ წუთში პიტსბურგმა ანგარიში გაათანაბრა — ჰაშეკს ენდრიუ ფერენსის დარტყმა გაეპარა. ამის შემდეგაც თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. წონასწორობა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა. მესამე პერიოდის დასაწყისში ბუფალო კვლავ დაწინაურდა: სტივ ჰაინცმა ჰაერში ოსტატურად შეუცვალა მიმართულება შაიბას და როგორც სერიაში, ასევე ამ მატჩში ჩინებულად მოთამაშე ანდერს ჰედბერგი (28 მოგერიება) უძლური იყო.

ამ მომენტში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს პიტსბურგს ძალა გამოელია. ბუფალო ისევ ფლობდა ინიციატივას, ხოლო ლემიესა და იაგრს არაფერი გამოსდიოდათ. და აი, აქ სტუმართა თავკაცმა გაბედული, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, გონივრული ნაბიჯი გადადგა. მან ორივე ლიდერი დააცალკევა, თანაც იაგრი ალექსეი კოვალიოვის მაგივრად მეორე სამეულში გადაიყვანა. სწორედ ახალგამომცხვარმა ჩეხურმა ტრიომ (იაგრი — ლანგი — სტრაკა) გადაწყვიტა მატჩის ბედი. მათი პირველივე ერთობლივი გამოჩენა ყინულზე გოლით დასრულდა. იაგრის პასის შემდეგ ლანგმა შაიბისთვის ბრძოლაში ყველას დაასწრო და დანაშაულიც გამოისყიდა — მეორე გოლი ხომ პიტსბურგის კარში მისი გაძევების შემდეგ გავიდა. ძირითადი დროის მიწურულს კვლავ ბუფალომ ითამაშა უკეთ. ყველაზე კარგი მომენტი ციპლაკოვს ჰქონდა, რომელმაც დაწოლილ ჰედბერგს შაიბა თავზე ვერ გადაუგდო. ოვერტაიმში კი სიტუაცია, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ისევ შეიცვალა. სტუმრები გააქტიურდნენ და შრომაც დაუფასდათ. დარიუს კასპარაიტისი ამ სერიაში, ალბათ, პირველად ჩაერთო შეტევაში, ლანგის ზუსტი პასი მიიღო, დაარტყა და წამის შემდეგ ბედნიერებისგან სახეგაბადრული თანაგუნდელების გარემოცვაში აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, პიტსბურგი აგრძელებს თასისთვის ბრძოლას. კონფერენციის ფინალში, სადაც „პინგვინები" 1996 წლის შემდეგ პირველად მოხვდნენ, მათ მრისხანე ნიუ ჯერსი ელით, მეორე წყვილი კი კოლორადო — სენტ ლუისმა შეადგინეს. სერიები შაბათს იწყება და კოლორადოს ქომაგთათვის სამწუხაროდ, გუნდის ლიდერი პეტერ ფორსბერგი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. მას ელენთის ოპერაცია უნდა გაუკეთონ.

**სამველ ღარიბიანი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანია)**

მეოთხედფინალი

**ჩეხეთი 2:0 სლოვაკეთი (1:0 1:0 0:0)**
**1:0 მორავეცი 6 (2), 2:0 ი. ჰლინკა 36 (1)**

**ფინეთი 4:1 გერმანია (1:0 2:0 1:1)**
**1:0 ს. კაპანენი 9 (5), 2:0 ვირტა 31 (2), 3:0 ჰენტურენი 33 (1), 4:0 სალო 52 (3), 4:1 აბშტრაიტერი 58 (1)**

**შვედეთი 4:3 რუსეთი (0:1 2:2 1:0 1:0)**
**0:1 ბუტი 6 (3), 1:1 ალფრედსონი 23 (3), 2:1 კ. იუნსონი 26 (3), 2:2 ტვერდოვსკი 32 (2), 2:3 კარპოვი 33 (3), 3:3 მოდინი 54 (2), 4:3 კ. იუნსონი 67 (4)**

**კანადა 3:4 აშშ (1:0 2:3 0:0 0:1)**
**1:0 მარლო 18 (2), 2:0 მიური 23 (1), 2:1 ჰენდრიკსონი 28 (2), 3:1 სტიუარტი 29 (1), 3:2 ჯიონტა 32 (2), 3:3 ლეგვანდი 37 (2), 3:4 ჰენდრიკსონი 61 (3)**

ნახევარფინალი

12 მაისი

**ფინეთი — აშშ**

**შვედეთი — ჩეხეთი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია. ბუნდესლიგა. 33-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰანზა-მიუნხენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 3,4 | 3,4 | 1,85 |
| 18.30 | 005 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1,8 | 3,5 | 3,4 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-შალკე | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 007 | უნტერჰახინგი-დორტმუნდი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 008 | კიოლნი-ვერდერი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.30 | 009 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1,75 | 3,4 | 3,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 33-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ალემანია-ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 011 | ფიურტი-მიონხენგლადბახი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 012 | ქემნიცი-არმინია | 4,0 | 3,4 | 1,65 |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-დუისბურგი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 014 | ოსნაბრიუკი-კიკერსი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 18.00 | 015 | ულმი-როიტლინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 016 | ობერჰაუზენი-ვალდჰოფი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 017 | მაინცი-ალენი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 018 | ზანქტ პაული-ჰანოვერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 019 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 19.00 | 020 | ლიდსი-ბრედფორდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 021 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 022 | ბირმინგემი-პრესტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 023 | უიგანი-რედინგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 024 | სტოკი-უოლსოლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | ბლეკპული-ჰარტლპული | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 026 | ჰალი-ლეიტონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 33-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 027 | გენგამი-ტრუა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 028 | ლიონი-სტრასბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 029 | ნანტი-სენტ ეტიენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 030 | ბორდო-სედანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 031 | ოსერი-რენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 032 | ტულუზი-მეცი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 033 | პსჟ-ლილი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 034 | მონაკო-ლანსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 035 | მარსელი-ბასტია | 1,55 | 3,4 | 5,3 |

### იტალია. სერია A. 30-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 048 | ბარი-ვიჩენცა | 2,9 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 049 | ბრეშა-ბოლონია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 050 | ნაპოლი-ლაციო | 3,8 | 3,1 | 1,85 |
| 18.00 | 051 | რეჯინა-პარმა | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 052 | რომა-ატალანტა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 053 | უდინეზე-პერუჯა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 054 | ვერონა-ლეჩე | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### იტალია. სერია B. 34-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 055 | ანკონა-ტრევიზო | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| 18.00 | 056 | ჩიტადელა-რავენა | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 057 | კოზენცა-სამპდორია | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 058 | ემპოლი-სალერნიტანა | 1,65 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 059 | ჯენოა-პიაჩენცა | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 18.00 | 060 | მონცა-კიევო | 4,2 | 2,9 | 1,75 |
| 18.00 | 061 | პესკარა-ტერნანა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 062 | სიენა-კროტონე | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 063 | ვენეცია-პისტოიეზე | 1,3 | 3,6 | 9,0 |

### იტალია. სერია C1/a. 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 064 | არეცო-ჩეზენა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 19.00 | 065 | კარარეზე-ალძანო | 2,0 | 2,5 | 3,0 |
| 19.00 | 066 | კომო-პიზა | 1,3 | 3,3 | 9,0 |
| 19.00 | 067 | ლივორნო-ალბინოლეფე | 1,4 | 3,3 | 7,5 |
| 19.00 | 068 | ლუკეზე-ალესანდრია | 1,8 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 069 | მოდენა-ლეკო | 1,2 | 3,1 | 9,0 |
| 19.00 | 070 | რეჯინა-ლუმეცანე | 2,0 | 2,8 | 3,4 |
| 19.00 | 071 | სპალ-სპეცია | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| 19.00 | 072 | ვარეზე-ბრეშელო | 1,9 | 2,7 | 3,0 |

### იტალია. სერია C1/b. 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 073 | აველინო-მესინა | 2,6 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 074 | ბენევენტო-ფ.ანდრია | 1,75 | 2,5 | 5,0 |
| 19.00 | 075 | კატანია-ვიტერბეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 076 | ფერმანა-ნოჩერინა | 2,0 | 2,8 | 2,6 |
| 19.00 | 077 | ლოდიჯანი-ჯულიანოვა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 19.00 | 078 | აკილა-ატლეტიკო | 1,8 | 3,0 | 3,0 |
| 19.00 | 079 | პალერმო-ასკოლი | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 19.00 | 080 | ტორესი-დი სანგრო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 19.00 | 081 | სავოია-პეზარო | 1,5 | 3,0 | 7,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 34-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 083 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 084 | მალაგა-ვალენსია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 085 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 086 | მალიორკა-სელტა | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 21.00 | 087 | ნუმანსია-ოსასუნა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 088 | ბარსელონა-რაიო ვალეკანო | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 089 | ლას პალმასი-სარაგოსა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 090 | რეალი-ესპანიოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.15 | 091 | რასინგი-ოვიედო | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 37-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 092 | ატლეტიკო-სევილია | 2,0 | 2,9 | 3,4 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 093 | ბეტისი-ალბასეტე | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 16.00 | 094 | უნივერსიდადი-მურსია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 095 | კორდობა-სალამანკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 096 | ფეროლი-ლეგანესი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 21.00 | 097 | კომპოსტელა-სპორტინგი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 098 | ხაენი-ხეტაფე | 1,75 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 099 | ელჩე-ესტრემადურა | 1,8 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 100 | უელვა-ლევანტე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 23.00 | 101 | ტენერიფე-ეიბარი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.00 | 102 | ბადახოსი-ლეიდა | 1,35 | 3,5 | 8,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. 32-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 104 | პორტუ-ლეირია | 1,25 | 5,0 | 9,0 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 105 | ფარენსე-მარიტიმუ | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 106 | გიმარაეში-კამპომაიორენსე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 107 | ალვერკა-ბელენენსეში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 108 | ავეში-ამადორა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 109 | ბეირა მარი-ბრაგა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 110 | ჟილ ვისენტე-ბენფიკა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 01.00 | 111 | სალგეირუში-ბოავიშტა | 4,2 | 3,3 | 1,7 |

### პორტუგალია. II ლიგა. 32-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 112 | აკადემიკა-რიუ ავე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 113 | ლეცა-ოვარენსე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 114 | იმორტალი-ფელგეირაში | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 115 | ვარზიმი-ნასიონალი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 20.00 | 116 | ფრეამუნდე-სანტა კლარა | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| 20.00 | 117 | ლამაში-შავეში | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 118 | მარკუ-მაია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 119 | პენაფიელი-ლავალი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 120 | ესპინიუ-სეტუბალი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 32-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 123 | ტილბურგი-გრონინგენი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 22.30 | 124 | ჰერენვენი-ვიტესი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.30 | 125 | გრააფსხაპი-ვალვაიკი | 2,3 | 3,3 | 2,6 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 126 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 127 | სპარტა-ალკმაარი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 17.30 | 128 | უტრეხტი-როდა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 129 | ნაიმეგენი-ბრედა | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 32-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 131 | ვეენდამი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,4 | 2,0 |
| 22.00 | 132 | ტელსტარი-მაასტრიხტი | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 22.00 | 133 | დორდრეხტი-კამბური | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 134 | ჰელმონდი-ემენი | 1,65 | 3,5 | 4,2 |
| .00 | 135 | ჰერაკლესი-იგლსი | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 22.00 | 136 | ეინდჰოვენი-ვოლენდამი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 22.00 | 137 | ზვოლე-ექსელსიორი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 138 | ოსი-ჰაარლემი | 1,75 | 3,3 | 3,5 |

### ბელგია. I დივიზიონი. 33-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 139 | მუსკრონი-სტანდარდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 140 | გენტი-ლუვიე | 1,45 | 3,8 | 5,0 |
| 23.00 | 141 | გენკი-ბეერსხოტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 142 | ანდერლეხტი-მეხელენი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 23.00 | 143 | შარლერუა-სენტ ტრუიდენი | 1,85 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 144 | ბევერენი-ვესტერლო | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 145 | ლიერსი-ბრიუგე | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 23.00 | 146 | ანტვერპენი-აალსტი | 1,9 | 3,4 | 3,1 |
| 23.00 | 147 | ლოკერენი-ჰარელბეკე | 1,65 | 3,6 | 3,4 |

### ჩეხეთი. 28-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 149 | ბლშანი-სპარტა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 19.30 | 150 | ბანიკი-ტეპლიცე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 151 | ბოჰემიანსი-პრჟიბრამი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 152 | პლზენი-ბრნო | 3,6 | 3,4 | 1,75 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 153 | სინოტი-ჟიჟკოვი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 154 | დრნოვიცე-იაბლონეცი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 22.00 | 155 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,2 | 5,6 | 10,0 |

**პოლონეთი. 26-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 156 | სტომილი-რაძიონკოვი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 157 | რუხი-ვისლა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.30 | 158 | პოლონია-გროცლინი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 20.00 | 159 | ამიცა-პლოცკი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 20.00 | 160 | ოდრა-ვიძევი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 161 | პოგონი-გურნიკი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 20.00 | 162 | შლიონსკი-ლეგია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 20.00 | 163 | კატოვიცე-ზაგლებე | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**თურქეთი. 32-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 164 | ისთანბული-იოზგათი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| 21.00 | 165 | ქოჯაელი-ანთალია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 166 | დენიზლი-იეთფა | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 167 | ბურსა-ადანა | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 168 | სამსუნი-რიზე | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 169 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 21.00 | 170 | ერზურუმი-ფენერბაჰჩე | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 21.00 | 171 | გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 172 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 1,55 | 3,4 | 5,0 |

**შოტლანდია. 37-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 173 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 174 | სენტ ჯონსტონი-დანდი იუნ. | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 19.00 | 175 | სენტ მირენი-აბერდინი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 19.00 | 176 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 177 | სელტიკი-დანდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.05 | 178 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 1,85 | 3,2 | 3,4 |

**ავსტრია. 34-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 179 | ადმირა-რაპიდი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 18.30 | 180 | აუსტრია-ბრეგენცი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 18.30 | 181 | ზალცბურგი-რიდი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 182 | შტურმი-გრაცერი | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| 22.30 | 183 | ლინცერი-ტიროლი | 3,1 | 3,2 | 2,0 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-11 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 185 | ლოზანა-სენტ გალენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 186 | სერვეტი-სიონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 187 | ლუგანო-ბაზელი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-11 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 188 | არაუ-ლუცერნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 189 | ვინტერთური-ბელინცონა | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 20.30 | 190 | ვილი-ივერდონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.30 | 191 | ქსამაქსი-იანგ ბოისი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-11 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 192 | კრინსი-ბადენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 193 | თუნი-სოლოთურნი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 22.30 | 194 | დელემონი-კარუჟი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 22.30 | 195 | ლოკარნო-ვანგენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**დანია. 28-ე ტური**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 196 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 197 | აკადემისკი-ჰადერსლევი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 198 | მიდტიულანდი-ლიუნგბიუ | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 18.00 | 199 | ვიბორგი-ოდენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 20.05 | 200 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 201 | სილკებორგი-ოლბორგი | 1,6 | 3,5 | 4,7 |

**რუსეთი. მე-9 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 202 | სატურნი-როსტსელმაში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 16.00 | 203 | ფაკელი-როტორი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 204 | დინამო-სპარტაკი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 16.00 | 205 | კრილია-ჩერნომორეცი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 16.00 | 206 | ტორპედო-სოკოლი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 16.00 | 207 | ალანია-ზენიტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 16.00 | 208 | ანჟი-ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 209 | ზილ-ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**შვედეთი. მე-6 ტური**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 210 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 20.00 | 211 | ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 212 | იორგრიტე-ნორჩიოპინგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 213 | ელფსბორგი-ჰამარბი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 214 | მალმიო-გოიტებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 215 | იორებრო-ჰეკენი | 1,85 | 3,3 | 3,5 |

**ნორვეგია. მე-6 ტური**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 216 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 217 | ბრინი-რუსენბორგი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 21.00 | 218 | ლილესტრიომი-ბოდიო გლ. | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 219 | ლინი-სტაბეკი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 220 | სოგნდალი-ვიკინგი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 21.00 | 221 | ტრომსიო-მოსი | 1,55 | 3,5 | 4,7 |
| 23.05 | 222 | სტრიომგოდსეტი-მოლდე | 3,8 | 3,3 | 1,75 |

**ფინეთი. მე-5 ტური**

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 224 | ჰიკ-ატლანტისი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 225 | ინტერი-ვაასა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 226 | ჯაზი-კუოპიო | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 227 | ლაჰტი-ტამპერე | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.30 | 228 | მიუპა-იოკერიტი | 1,55 | 3,5 | 4,7 |
| 20.30 | 229 | როვანიემი-ჰაკა | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**ინგლისი. თასის ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 230 | არსენალი-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**საბერძნეთი. თასის ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 231 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**კალათბურთი. 1/8 ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 803 | დალასი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 804 | შარლოტი-მილუოკი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 24.00 | 805 | ტორონტო-ფილადელფია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 02.30 | 806 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 807 | სან ანტონიო-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**კალათბურთი. სუპერლიგა. ფინალი (პარიზში)**

**13 მაისი**

21.00 810

**ჰოკეი. 1/2 ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 901 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,65 | 4,0 | 2,8 |

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანიაში).**

**1/2 ფინალი**

**12 მაისი**

18.00 .................... 903

22.00 .................... 904

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანიაში).**

**მატჩი III ადგილისთვის და ფინალი**

**13 მაისი**

18.00 .................... 905

22.00 .................... 906

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| I ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | | |
| **12 მაისი** | | | | | | | | | |
| 18.30 601 ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 6,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 18.30 602 ჰერტა-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 603 შტუტგარტი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.30 604 უნტერჰახინგი-დორტმუნდი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.30 605 კიოლნი-ვერდერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | | |
| **12 მაისი** | | | | | | | | | |
| 18.00 607 რეჯინა-პარმა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 608 უდინეზე-პერუჯა | 2,9 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 609 ვერონა-ლეჩე | 2,7 | 11,0 | 22,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | | | | |
| **12 მაისი** | | | | | | | | | |
| 21.00 610 მალაგა-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 611 მალიორკა-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 612 ნუმანსია-ოსასუნა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 22.00 613 ლას პალმასი-სარაგოსა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.15 614 რასინგი-ოვიედო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# კრაზანებს თვალი აეხილათ

**აღმოსავლეთი**

10 მაისი

| | |
|---|---|
| მილუოკი | 2 |
| შარლოტი | 1 |

**შარლოტი 102:92 მილუოკი**

**შარლოტი: მაშბურნი (36), კემპბელი (17), ვესლი (16)**

**მილუოკი: რობინსონი (23), ალენი (20), ვილიამსი (13 ქულა, 10 მოხსნა), კასელი (12 ქულა, 9 პასი)**

მილუოკიში ორი დამარცხების შემდეგლა აეხილათ თვალი შარლოტელებს და შინ დაბრუნებულებმა „აღმოაჩინეს", რომ როდესაც „მილუოკი ბაქსს" ეთამაშები, აუცილებელია, ყურადღებით გაისარჯო დაცვაში და ფარქვეშა სივრცის დაპყრობაზეც იზრუნო. დღეს საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ „მილუოკის" არა ჰყავს მძლავრი მეფარეები, გუნდი პერიმეტრის სამ გიგანტს — კასელს, ალენსა და რობინსონს ეყრდნობა და თუ მათ შეტევის საშუალება მიეცი, ველარაფერი გიშველის. თავისდა სამწუხაროდ, სანამ შარლოტელები ამას გაათვითცნობიერებდნენ, ორი თამაში დათმეს და ახლა ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად დიდი ჭაპანწყვეტა უწევთ.

მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში მტკიცედ ახორციელებდნენ დასახულ მიზანს და სტუმართა მაღლებს ფარქვეშ ავიწროებდნენ. მართალია, „ჰორნეთსს" ამ მატჩისთვის სათადარიგო მეფარე დერიკ კოულმენი აკლდა, მაგრამ უმისოდაც მიახრჩო მეტოქე. ცენტრმა ელდენ კემპბელმა 17 ქულა ჩაუგდო სტუმრებს. თავდამსხმელი ფი ჯეი ბრაუნი კი მოხსნებზე გადაერთო და ფარზე ასხლეტილ ბურთს 16-ჯერ დაეუფლა. სულ „შარლოტმა" ამ კომპონენტში 57:35 დაჯაბნა მეტოქე და ეს უპირატესობა კარგადაც გამოიყენა. როგორც წესი, „მილუოკის" შეტევაში მხოლოდ ერთი სროლის შანსი ეძლეოდა, რადგან აცილებულ ბურთს ვერ იჭერდა, ამასთანავე, არც მისი პირველი სროლა იყო მომაკვდინებელი, რადგან მასპინძელთა პერიმეტრი აქტიურად უშლიდა ხელს სტუმართა დაბალ სნაიპერებს.

მართალი რომ ითქვას, მასპინძლები ამან პრაქტიკულად დიდად არ ახეირა. „მილუოკი" მეორე მეოთხედში ოდნავ ჩამორჩა მეტოქეს, თუმცა გლენ რობინსონმა, რომელმაც წლევანდელ პლეი ოფში საუკეთესო მატჩი ჩაატარა, იმდენი იბორგა, რომ გუნდები დიდ შესვენებაზე 51:51 ანგარიშით გაიყარნენ. გარდატეხა მესამე მეოთხედის შუაწელს მოხდა, როდესაც მასპინძელმა ბაირონ დევისმა მეურვე სემ კასელისგან ერთი წუთით თავი დაიხსნა და ზედიზედ ექვსი ქულა და ერთი ჩაჭრა მიითვალა, რითაც „ჰორნეთსს" ერთი მონაკვეთი 10:0 მოაგებინა. „შარლოტი" 11 ქულით წინ გაიჭრა და ბოლო წამებამდე ახლოს აღარ გაიკარა მეტოქე. მასპინძლებმა მოახერხეს და აღკვეთეს სტუმართა ლიდერის, რეი ალენის თარეში, ამანაც მეორე ნახევარში ოდენ ექვსი ქულა შეაშველა თავისიანებს. მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კი „მილუოკის" კალათს შესაშური სიზუსტით ბომბავდა „კრაზანებს" პირველი მექულე ჯამალ მაშბურნი. საერთოდ, იგი წლევანდელ პლეი ოფში შესანიშნავად ირჯება და მხოლოდ ერთ თამაშში ვერ მოიხვეჭა ორი ათეული ქულა, ამ შეხვედრაში კი სულაც პლეი ოფებში კარიერის რეკორდი დაამყარა — 36 ქულა.

13 მაისს გასამართ სერიის მეოთხე შეხვედრასაც შარლოტი უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირცხალაიშვილი**



რევაზ ჩხეიძე

# ვერცხლი ნაღდია, ოქრო კარგია

## ჩხიროს უკრაინული მონაგარი: თასი, NEBL, ფინალი

*ქართველი კალათბურთელი რევაზ ჩხეიძე წლეულს კიდევ ერთ უკრაინულ ტიტულს შესწვდება. იქაურ ჩემპიონატში ჩვენებურის „მბკ ოდესამ" უკვე გაინაღდა ფინალურ სერიაში თამაში და ახლა „ჩხიროს" კარგი შანსი აქვს, უკრაინული ვერცხლის შემდეგ კოლექცია ოქროთი გაიმდიდროს. მოგეხსენებათ, წინა სეზონში ქართველის გუნდმა სწორედ ფინალის მეხუთე გადამწყვეტი მატჩი დათმო „ბკ კიევთან" და შესაბამისად, ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა.*

*ოდესელებმა წლეულს შინაურ ფრონტზე ერთი დიდი გამარჯვება უკვე მოიპოვეს — ქვეყნის თასი მოიგეს. ზღვისპირელებმა ევროპაშიც იყოჩაღეს, ჩრდილოეთ ქვეყნების საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იგივე „ჩელენჯ კაპის" გამარჯვებულები შექნენ და გაისად NEBL-ის პირველ დივიზიონში თამაშის უფლებაც დაისაკუთრეს. სხვათა შორის, გადამწყვეტ მატჩში „მბკ ოდესამ" ლიტვის „ალიტა" დაამარცხა, გუნდი, რომელმაც ამ გათამაშებიდან ბათუმის „ბასკო" გამოთიშა.*

*ერთი სიტყვით, რევაზ ჩხეიძესა და მის „ოდესას" საქმეები კარგად აეწყოთ და ნამდვილ ტრიუმფამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩენიათ — ფინალის მოგება და უკრაინის ჩემპიონობა. ჩვენთვის კი, კალათბურთის ქართველ ქომაგთათვის, მართლაც რომ გასახარია ყოველივე რადგან „ჩხირო" საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატი გახლავთ და წარმატებულ კლუბში თამაშს და, რაც მთავარია, მოგებებსაა ნაჩვევი. ჩვენს ნაკრებს კი ყველაზე მეტად სწორედ გამარჯვებულის ფსიქოლოგია სჭირდება.*

— ეს სეზონი მართლაც გამორჩეულად წარმატებული გამოდგა ჩემი გუნდისთვის. აქამდე ყველა მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ და თუ ჩემპიონობაც მოვიპოვეთ, ყველა მიზანი მიღწეული იქნება. რაც დავგეგმეთ, ყველაფერი შევასრულეთ, მაგრამ თუ წლეულსაც წავაგეთ ფინალში, კლუბის ხელმძღვანელობა მაინც უკმაყოფილო დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის თასი დავისაკუთრეთ და NEBL-ის პირველ დივიზიონშიც ავვზევდით.

**— ჩრდილოეთურ ლიგაში თავიდან არცთუ ხშირად გიწევდათ თამაში...**

— ერთხანს მუხლი მტკიოდა, შემდეგ კი გუნდის მთავარ მწვრთნელ ვიტალი ლებედინცევთან კონფლიქტი მქონდა და უთამაშებლობის მიზეზიც სწორედ ეს იყო. მოგვიანებით ყველაფერი მოწესრიგდა, ტრავმაც მოვირჩინე, მწვრთნელთანაც გავარკვიე ურთიერთობა და ლებედინცევიც ძველებურად მენდო. ნახევარფინალში ინგლისის „ბირმინგემთან" თითქმის სრულად მომიწია თამაშმა, ფინალში კი, „ალიტას" წინააღმდეგ ჩემს გუნდს 14 ქულითა და 9 მოხსნით შევეწიე. მთლიანობაში 20 ქულით მოვუგეთ ბალტიისპირელებს.

**— ქვეყნის ჩემპიონატში ადვილად გააღწიეთ ფინალში?**

— საკმაოდ. რეგულარულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე გავედით და პლეი ოფში მეოთხეადგილოსან „მარიუპოლს" შევხვდით ორ მოგებამდე. მესამე მატჩის ჩატარება აღარ გახდა საჭირო, მეტოქეს შინაც და სტუმრადაც დამაჯერებლად მოვუგეთ. ყოველ მატჩში დაახლოებით 18-20 წუთს მათამაშებდა ლებედინცევი, ორი შეხვედრის ჯამში 23 ქულა მოვინაგრე და მოხსნა-ჩაჭრებიც უხვად მოვაგროვე.

**— სეზონის მიწურულს, ჩანს, კარგ ფორმაში შეხვდით...**

— მეც ასე ვფიქრობ, ფიზიკურად მოვმძლავრდი და მომქანცველი სეზონის შემდეგ დაღლილობას საერთოდ ვერ ვგრძნობ. ბოლო ხანს შედეგიანობასაც მნიშვნელოვნად მოვუმატე და პრაქტიკაც არ მაკლია. ერთი სიტყვით, ჯანზე ვარ.

**— ნაკრებიდან ხომ არ შეგხმიანებიან?**

— ადრე რამდენჯერმე დამიკავშირდნენ ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელები, მაგრამ ბოლო ხანს აღარ დაურეკავთ. რამდენადაც ვიცი, ივნისში ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე უწევს თამაში და თუ საჭიროდ ჩათვლიან და გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ. ეს უფრო მწვრთნელების საქმეა და თავად უნდა გადაწყვიტონ, ისე კი, მაისის ბოლოს ისედაც ჩამოვალ, 25-ში ყველაფერი მოლეული მექნება.

**— ფინალში ვის ხვდებით?**

— ჯერ გაურკვეველია. „ბკ კიევსა" და „ნიკოლაევს" შორის სერიაში ანგარიში 1:1-ია და ყველაფერს გადამწყვეტი მატჩის შემდეგ შევიტყობთ, რომელიც 12 მაისს გაიმართება. ფინალური შეხვედრები 15-ში დაიწყება და სამ მოგებამდე იქნება.

**— სამომავლოდ რას აპირებთ, ცნობილია, რომ ოდესელებთან სეზონის ბოლომდე გაკავშირებთ კონტრაქტი...**

— გამორიცხული არაა, გაისადაც ამ კლუბში ვითამაშო, თუმცა საღლეისოდ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. სანამ ჩემპიონატი არ დამთავრდება, აქ კონტრაქტის გაგრძელებაზე არავინ საუბრობს. ასე რომ, ცოტა ხანს მოვიცდი და ჩემი მომავალიც მალე გაირკვევა. ისე ვიცი, რომ ოდესელები ჩემით კმაყოფილები არიან და, ვფიქრობ, საქართველოში გამომგზავრებამდე ჩემთვის მისაღებ პირობებს შემომთავაზებენ. შესაძლოა, სხვაგანაც გავაგრძელო კარიერა.

**გიორგი ბიკაშვილი**

# ახალბედებში ჯანმრთელმა იმარჯვა

**ათ მაისს** კიდევ ერთ ჯილდოს გამოუჩნდა პატრონი. სეზონის ახალბედის ტიტული არავის დაანება „ორლანდო მეჯიქის" 21 წლის მსროლელ-ფრთამ მაიკ მილერმა, რომელმაც 124 შესაძლებლობიდან 75 ხმა დააგროვა. 36 ხმით მეორე ადგილზე „ნიუ ჯერსი ნეთსის" თავდამსხმელი კენიონ მარტინი გავიდა, გოლდენსტეიტელი მარკ ჯექსონი შვიდი ხმით მესამე იყო, კლიპერსელმა დარიუს მილზმა და ტორონტოელმა მორის პეტერსონმა კი დანარჩენი ექვსი ხმა თანაბრად გაინაწილეს და მეოთხე-მეხუთე პოზიციები დაიკავეს.

გამოკითხვის შედეგები არავის გაკვირვებია, თუმცა იმაში, რომ ეს საკმაოდ პრესტიჟული პრიზი სწორედ მაიკ მილერს ერგო, მაინც დიდია შემთხვევითობის წილი. მილერს ბედმა გაუღიმა — დრაფტის შემდეგ მოხვდა „ორლანდოში", გუნდში, რომელიც ნიჭიერი კალათბურთელების დიდ ნაკლებობას განიცდის. ხოლო როდესაც ცხადი გახდა, რომ „მეჯიქში" გადაბარგებული სუპერვარსკვლავი და გუნდის პოტენციური ლიდერი გრანტ ჰილი მთელ სეზონს გამოტოვებდა, მილერის წინაშე დიდი პერსპექტივა გადაიშალა. ბიჭმაც ივარგა, 82 თამაშიდან ბოლო 62 სასტარტო ხუთეულში დაიწყო, სულ სეზონში საშუალოდ მატჩში მან 11,9 ქულა, 4,0 მოხსნა და 1,7 პასი გააზერხა და გუნდის მესამე მექულე გახდა ტრეისი მაკგრეიდისა და დარელ არმსტრონგის შემდეგ. ქულებში იგი აგრეთვე მესამე იყო ახალბედებში და მხოლოდ მარტინსა და ჯექსონს ჩამორჩა. მილერს კონკურენტებშიც გაუმართლა — ყველაზე გამორჩეული ახალბედები, მარტინი და ჯექსონი, მასზე ნაკლებ ჯანმრთელნი აღმოჩნდნენ. ახალბედათა შორის უნიჭიერესს, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელს, კენიონ მარტინს ამ ტიტულში ვერავინ შეეცილებოდა, ტრავმის გამო სეზონის ბოლო ხუთი კვირა რომ არ გამოეტოვებინა. კიდევ უფრო მეტად იზარალა გოლდენსტეიტელმა მარკ ჯექსონმა, რომელმაც ექვსი თვიდან ორი გამოტოვა, თუმცა რაც ითამაშა, ორჯერ თვის ახალბედა გახდა.



მაიკ მილერი სეზონის ახალბედის პრიზით

კარატე

# ტოკიოს კონგრესზე გავიმარჯვეთ

## დაველოდოთ თბილისურ ჩემპიონატს

**გუშინ** საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციამ მასმედიის წარმომადგენლები კონფერენციაზე მიგვიწვია. ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ იქ მყოფთ ერთი სასიხარულო ამბავი გვამცნო: ოქტომბერში თბილისი კონტინენტის უპირველეს ასპარეზობას უმასპინძლებს. ეს კი, მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი პატივია. განა განებივრებულები ვართ ასეთი დონის შეჯიბრებებით? თუმცა უკეთესი იქნება, თუ თავად ფედერაციის პრეზიდენტ კახა ბასილიას მოვუსმენთ...

— თბილისში ევროპის ჩემპიონატის გამართვა შარშან აგვისტოში ტოკიოს კონგრესზე გადაწყდა იმ იმედით, რომ იგი აღმოსავლეთ ევროპაში ამ სახეობის პოპულარიზაციასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა გერმანიასა და ინგლისსაც სურდა, მაგრამ პრიორიტეტი მაინც აღმოსავლეთ ევროპას ხვდა წილად. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ლანგრით მიართვეს ამგვარი პატივი, თურმე რუსეთი და უკრაინა გვეცილებოდნენ. ასე რომ, თავადვე მიხვდებით, ვისთან გვიწევდა ჭიდილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ გავიმარჯვეთ. ამაში დეპუტატ გიორგი ბარამიძის, ჩვენი საპატიო პრეზიდენტის პოლიტიკურმა გამოცდილებამაც შეგვიწყო ხელი.

ასე იყო თუ ისე, ევროპის ჩემპიონატს 6-8 ოქტომბერს სპორტის სასახლეში ვუმასპინძლებთ. მასში სავარაუდოდ 35 ქვეყნის 1200-1500 სპორტსმენი გამოვა. ეს ყოველივე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, მხარდამჭერებიც გვყავს.

ჩემპიონატის ორგანიზატორები არიან, რა თქმა უნდა, მსოფლიოსა და საქართველოს შოტოკან კარატე დოს ფედერაციები, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, თავდაცვის სამინისტრო, თბილისის მერია, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო.

**გიგა გურასაშვილი**

# სუპროლიგა. «ოთხთა ფინალი» 11-13 მაისი. პარიზი

გუშინდელი ნახევარფინალები

# ეს ხომ შარშანაც ვნახეთ



REUTERS პარიზიდან

პანათინაიკოსი — ეფესი. დეიან ბოდიროგას (მარცხნივ) და ეფესელ დამირ მულაომეროვიჩს ხელჩართული ბრძოლა გაუმართავთ

**მაკაბი 86:80 ცსკა**

**მაკაბი: ბრისკერი (5), ბურშტეინი, ჩურჩიჩი (2), ჰენფელდი (14), ჰაფმანი (17), მაკდონალდი (17), პარკერი 14), შარფი (7), შელეფი (10)**

**ცსკა: ალანოვიჩი, დომანი (9), ეინიკისი (11), ფეტისოვი (9), კირილენკო (23), კუდელინი, ლარუ (5), მორგუნოვი (15), პადიუსი (2), პეტრენკო (6)**

პარიზი და „ბერსის" სპორტკომპლექსი უიღბლო ადგილია მოსკოვის ცსკა-სთვის. ხუთი წლის წინ არმიელებმა ევროლიგის ნახევარფინალი წააგეს საფრანგეთის დედაქალაქის უმთავრეს დარბაზში, გუშინ კი თელ ავივის „მაკაბის" დაუთმეს სუპროლიგის ნახევარფინალი.

ცსკა თავიდან დაწინაურდა, ძირითადად ანდრეი კირილენკოს და გინტარას ეინიკისის წყალობით, მერე კი მაკაბელთა ცენტრმა ნათანიელ ჰაფმანმა გამოიღო ხელი და მეორე მეოთხედში თელავიველები 29:19 გავიდნენ წინ. არმიელთა წინა ხაზმა მობილიზება შეძლო, ორივე ფარი დაიპყრო და მოსკოველებმა ტაიმი 43:37 მოიგეს.

ცსკა-ს უკანახაზელები პირველ ტაიმში ვერ ბრწყინავდნენ, შესვენების შემდეგ კი მთლად ჩაფლავდნენ. განსაკუთრებით სნაიპერად შერაცხული იგორ კუდელინი, რომელმაც შვიდიდან შვიდი სამქულიანი ააცილა. მაკაბელები კი დროულად გამოფხიზლდნენ, 16 უპასუხო ქულა მიითვალეს და ზედიზედ მეორედ გავიდნენ ევროპის უმთავრესი საკლუბო ტურნირის ფინალში.

**პანათინაიკოსი 74:66 ეფესი**

**პანათინაიკოსი: ალვერტისი (10), ბალოიანისი, ბოდიროგა (22), ფოცისი (11), ჯენტილე (2), კალაიძისი (6), კოხი (10), მიდლტონი (6), რებრაჩა (5), როჯერსი (2)**

**ეფესი: ბეშოქი (10), დრობნიაკი (15), მულაომეროვიჩი (20), ოქური (2), ონანი (15), შჩეპანოვიჩი, თუნჩერი (4), ილმაზი**

სუპროლიგის ფინალი შარშანდელი ევროლიგის ფინალის ზუსტი ასლია, რადგან ათენის „პანათინაიკოსმა", ისევე როგორც ერთი წლის წინანდელ ნახევარფინალში, დაამარცხა სტამბოლის „ეფესი" და ევროპის ჩემპიონთა თასისთვის „მაკაბის" შეეჭიდება. ათენელები ერთხანს 15 ქულით უგებდნენ სტამბოლელებს, მაგრამ მოეშვნენ და მეტოქეს ორ ქულამდე შეამცირებინეს ანგარიშში სხვაობა. მერე კი იძალა პანათინაიკოსელმა დეიან ბოდიროგამ და თავისიანები ფინალში გაიყვანა.

## ევროლიგა

Euroleague

ფინალი (სამ მოგებამდე).
გადამწყვეტი მატჩი. 10 მაისი

**კინდერი 82:74 ტაუ**

**კინდერი: ჯინობილი (16), აბიო (4), ბონორა (1), ფროზინი (4), ანდერსენი (4), რიგოდო (18), გრიფიტი (14), სმოდიში (5), იარიჩი (16)**

**ტაუ: სკოლა (7), გარსია (2), ბენეტი (24), ფუარე (6), ვიდალი (2), ტიმინსკასი (7), შტომბერგასი (3), ალექსანდერი (8), ობერტო (15)**

*ბოლონიის „კინდერი" გახდა ევროლიგის ჩემპიონი*





გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში: კლოდ სორელი უკვე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია

# სორელი აქაც პირველია

## საქართველოს ფრანგი დამსახურებული მწვრთნელი

***გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ფრანგ მწვრთნელ კლოდ სორელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. სორელი პირველი უცხოელია, რომელსაც ამგვარი პატივი ერგო. ბორჯღალოსანთა თავკაცს გუშინ საღამოსვე გადაეცა შესაბამისი მოწმობა, ჩვენც სწორედ იმ დროს გავესაუბრეთ.***

— ვფიქრობ, ეს არა მხოლოდ ჩემი, არამედ საერთოდ იმ საქმის დაფასებაა, რომელიც საქართველოს ნაკრებმა გააკეთა. პირადად მე მოხარული ვარ და ვამაყობ ახლახან მიღებული წოდებით.

**— ხომ არ თვლით, რომ მეტი გეკუთვნით?**

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ყველაზე დიდი აღიარება საქართველოს ნაკრების შედეგებია: გუნდი ევროპის ერთა თასის მფლობელია. თუმცა, ეს უკვე წარსულია, წინ გაცილებით მძიმე გზაა. მომავალ გათამაშებაში გამარჯვებულის რანგში გამოვალთ, ამდენად, მიღწეულის შენარჩუნება მოგვიწევს, რაც საკმაოდ ძნელია.

**— ამბობენ, წარმატების მიუხედავად, მთლად კმაყოფილი არ ხართ საქართველოს ნაკრების თამაშით...**

— მართალია. ეს იმიტომ, რომ კარგად ვიცი ჩემი მოთამაშეების შესაძლებლობები. მათ ძალების ძალიან დიდი რეზერვი აქვთ და მეტის გაკეთება და მიღწევა შეუძლიათ.

ჩვენი მთავარი მიზანი მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გასვლაა. ამ მხრივ კი ბევრი არაფერი გაგვიკეთებია. კარგია, რომ შესარჩევ ჯგუფს ვლიდერობთ, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ გაისად ჩვენს წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული ძალით ითამაშებს. მაშინ დაგვჭირდება ხასიათის გამოვლენა, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დავამტკიცოთ, რომ ევროპის ერთა თასი შემთხვევით არ მოგვიგია.

**— ყველა ყველა და, თქვენს შეგირდებს შრომის და პასუხისმგებლობის უნარს ვერავინ წაართმევს...**

— გეთანხმებით. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების წარმატება პირველ რიგში მოთამაშეთა შრომისმოყვარეობამ და მონდომებამ განაპირობა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მეტია საჭირო. საბედნიეროდ, ბიჭები ხვდებიან, თუ რომელ რგოლებში მოისუსტებს გუნდი და მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობენ. მერწმუნეთ, მიღწეული შედეგები ამ ნაკრების მაქსიმუმი არ არის. გავიმეორებ: ჩემს შეგირდებს მეტი შეუძლიათ.



## იტალია

XXX ტური

**ფიორენტინა 1:3 იუვენტუსი**

0:1 ზიდანი (24), 0:2 ტუდორი (28), 1:2 მარკო როსი (40), 1:3 ტრეზეგე (89)

**ინტერი 0:6 მილანი**

0:1, 0:2 კომანდინი (3, 19), 0:3 ჯუნტი (53), 0:4, 0:5 შევჩენკო (67, 78), 0:6 სერჟინიო (80)

ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, სიმიჩი, ს. ძანეტი, ფარინოსი (კოე 36), დალმა, დი ბიაჯო (ზეედორფი 46), გრეშკო, ვიერი, რეკობა

მწვრთნელი: მარკო ტარდელი

მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, როკე ჟუნიორი, მალდინი, კალაძე, გატუზო, სერჟინიო, ჯუნტი (გულიელმინპიეტრო 72), შევჩენკო (ლეონარდო 85), კომანდინი (ხოსე მარი 59)

მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი

გაფრთხილება: ჰელვეგი, სიმიჩი, გატუზო

78 054 მაყურებელი

## ჩეხეთი

XXVIII ტური

**ლიბერეცი 2:0 სიგმა**

## ფინეთი

გადადებული მატჩი

**ჰიკ 2:0 ვაასა**

## შვეიცარია

A ჯგუფი. XI ტური

**გრასჰოპერი 4:2 ციურიხი**

## პორტუგალია

XXXII ტური

**სპორტინგი 1:3 ფეირეირა**

## ჰოლანდია

XXXII ტური

**როზენდალი 1:2 პსვ**

0:1 კეჟმანი (21პ), 1:1 ჰერტოგი (39), 1:2 ვან ბომელი (55)

**სიტარდი 0:2 ტვენტე**

0:1 ს. ბუთი (19), 0:2 დე ვიტე (89)

## ესპანეთი

XXXIV ტური

**დეპორტივო 2:1 ალავესი**

0:1 ხავი მორენო (15პ), 1:1, 2:1 დიეგო ტრისტანი (45პ, 54პ)

## შვედეთი

თასის 1/2 ფინალი

**ელფსბორგი 2:1 გაის**

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVII ტური

**ბოვე 1:2 სოშო**

**ნიცა 2:1 მონპელიე**

**აიაჩო 1:0 მარტიგი**

**ლავალი 1:2 ლორიანი**

**ნანსი 0:0 ლე მანი**

**კრეტეი 2:0 ლე ავრი**

**ვალკეალი 2:1 ვენიონი**

**ნიორი 2:0 შატორუ**

**ნიმი 4:3 კანი**

**კაენი 4:0 ანჟერი**




ვაი: ვიერი

REUTERS მილანიდან




არა ჩანს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის: შევჩენკოს კალაძემ გაატანინა და პირველი მილოცვაც მისგან მიიღო

# წამიც და, მთელი საქართველო სიხარულით გადაირია:

# გოოოოოოოოლ!

სარბიელის არქივიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბეხელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge